www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 18 სექტემბერი, 2012 წელი. | №3114 (207) | ფასი 50 თეთრი

ხუთი მინისტრი ერთი მისიით

დათო გამისონია

გუშინ საქართველოს ევროპის ხუთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები სტუმრობდნენ. ლიტვის, ბულგარეთის, ლატვიის, რუმინეთისა და ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა - აუდრონიუს აჟუბალისმა, ნიკოლაი მლადენოვმა, ედგარს რინკევიჩსმა, ტიტუს კორლატეანმა და კარელ შვარცენბერგმა საქართველოში პირველივე შეხვედრის შემდეგ, რომელიც ქართველ კოლეგა გრიგოლ ვაშაძესთან გამართეს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"შესაძლო დესტაბილიზაციაზე პასუხისმგებლობა რუსეთს დაეკისრება"

რუსეთის ფედერაციამ მასშტაბური სამხედრო წვრთნები დაიწყო

მარი ახსიაშვილი

გუშინ რუსეთის ფედერაციამ მასშტაბური სამხედრო წვრთნები - "კავკასია 2012" დაიწყო. საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტის" ცნობით, სწავლებების პირველ ეტაპზე დასასწრებად ყუბანში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ჩავიდა.

წვრთნები ორ ეტაპად ჩაივლის. პირველი ეტაპი კრასნოდარის მხარეში "რაევსკის" პოლიგონზე მიმდინარეობს. "რაევსკიზე", რომელიც ნოვოროსიისკთან ახლოს მდებარეობს, სამხედროები გამანადგურებელი ტექნიკის შესაძლებლობების დემონსტრირებას ახდენენ. ვლადიმირ პუტინთან ერთად, სწავლებებს რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი და ყუბანის გუბერნატორი ალექსანდრე ტკაჩოვი აკვირდებიან.

რუსული მედიის ინფორმაციით, წვრთნები 23 სექტემბრამდე გაგრძელდება. მასში მონაწილეობას მიიღებს 8 ათასი რუსი ქვეითი ჯარისკაცი, 200 საბრძოლო მანქანა და 100 საარტილერიო დანადგარი. ამოქმედდება ორი ათასამდე ერთეული სამხედრო ტექნიკა და 10 საბრძოლო გემი და კატარღა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

დაძაბულობა ჩინეთსა და იაპონიას შორის გრძელდება

სალომე ჯანიაშვილი

ჩინეთი ირწმუნება, რომ ოპერაცია, რომლის ფარგლებშიც იაპონიასთან სადავო კუნძულების ირგვლივ 6 გემი პატრულირებს, წარმატებული აღმოჩნდა. კვირას ჩინეთის ათობით ქალაქიდან მოქალაქეების დიდი რაოდენობა ქუჩაში ანტიიაპონური პროტესტის გამოსახატავად გამოვიდა. ჩინეთმა, თავისი განწყობის დემონსტრირებისთვის, სადავო კუნძულებისკენ ათასობით თევსაჭერი გემი გაგზავნა. ისინი დღეს ალბათ უკვე კუნძულებთან იქნებიან.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

270 გვერდში ჩატეული მიხეილ კალატოზოვი

ია ვეკუა

თუკი ქართული კინოს სათავეებისკენ დავიწყებთ სვლას, გზად აუცილებლად ჩავუვლით მიხეილ კალაატოზოვის ადრეულ ფილმებს, ხოლო როდესაც საბჭოთა კინემატოგრაფის მწვერვალებისკენ გადავინაცვლებთ, აქაც ქართველი რეჟისორი და მისი ნამუშევრები დაგვხვდება. სწორედ ეს ადამიანი, მისი კინობიოგრაფია, მოგონებები და პირადი მიმოწერა გახლავთ იმ წიგნის მთავარი თემა, რომლის პრეზენტაციაც გუშინ კულტურის სამინისტროში გაიმართა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6472₾
1 ევრო	2.1563₾
1 ინგლისური გირვანქა	2.6742₾
1 თურქული ლირა	0.9183₾
100 რუსული რუბლი	5.3449₾

თბილისი	28°C - 18°C
ქუთაისი	32°C - 19°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	31°C - 15°C
ბათუმი	27°C - 18°C

ნავთობი	3.14	-0.10	-3.17%
გაზი	2.87	-0.07	-2.44%
ოქრო	1,763.60	-9.10	-0.52%
ხორბალი	886.50	-37.75	-4.26%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

ლაბრადორმა დუდუს განრიგი შეცვალა

მიუხედავად თავისი ახალგაზრდა ასაკისა, დღევანდელი რესპოდენტი, ქართველი გულშემატკივრისთვის უკვე საკმაოდ ცნობილია. დავით ქუბრიაშვილი ეროვნული ნაკრებისა და ფრანგული გრანდი "ტულონის" პირველხაზელია. დუდუ უკვე მეხუთე წელია თავის წარმატებულ სარაგბო კარიერას საფრანგეთში წარმართავს.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

დავით ქუბრიაშვილი

ტატიშვილი საუკეთესო მაჩვენებელს ინარჩუნებს

გიგა გურასაშვილი

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) განახლებულ რეიტინგში საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელ ანა ტატიშვილს 1210 ქულა მოუგროვდა და კვლავ 52-ე ადგილზე დარჩა, რაც მის კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელია.

22 წლის ტატიშვილის უახლოესი სამიზნე კვლავაც ჩეხი პეტრა ჩეტკოვსკაა, რომელიც 51-ე საფეხურზე იმყოფება და საქართველოს პირველ ჩოგანს მხოლოდ 5 ქულით უსწრებს.

მიმდინარე კვირიდან აზიური ტურნირების ციკლი იწყება, თუმცა, ტატიშვილს ვერც სეულში (კორეა) ვხედავთ და ვერც გუანჟოუში (ჩინეთი). ეტყობა, ანამ ტრავმის ბოლომდე მოშუშება გადაწყვიტა და კორტზე დასაბრუნებლად პრემიერ-კატეგორიის China Open (საპრიზო ფონდი 4 828 050 დოლარი) შეარჩია, სადაც ტატიშვილი განაცხადში უკვე ფიგურირებს. პეკინური ტურნირი კი სტარტს აიღებს 29 სექტემბერს.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

პრეზიდენტი მოსწავლეებს და მასწავლებლებს სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოსწავლეებს, სტუდენტებს და მასწავლებლებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. პრეზიდენტის თქმით, ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა იმ 47 000 პირველკლასელისთვის, ვინც მერხს მიუჯდა, ასევე 24 000 სტუდენტისთვის, ვინც სასწავლებელში პირველად წავიდა.

როგორც სააკაშვილი ამბობს, მისი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მეტად საამაყო რეფორმა განათლების რეფორმაა, თუმცა, თუკი რომელიმე სფეროში ისევ წარმოუდგენლად ბევრი რჩება გასაკეთებელი, ეს განათლების მიმართულებაა. **"ჩვენი მთავრობის დამოკიდებულება განათლების სისტემის მიმართ რამდენიმე ძირითად პრინციპს ეფუძნება. ეს, პირველ რიგში, სოციალური თანასწორობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ყველას ერთნაირი განათლების მიღების საშუალება უნდა ჰქონდეს. უნდა ითქვას, რომ ყველა პირველკლასელს უფასოდ გადაეცა ნეტბუკი, რომელიც საქართველოშია გამოშვებული. სოციალურად დაუცველებს, დაახლოებით, 1 200 000 ლარის ღირებულების წიგნები დავურიგეთ. დანარჩენი ოჯახებისთვის კი საქართველოში სახელმძღვანელოები გაიაფდა,"** - ამბობს სააკაშვილი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პრეზიდენტმა გამოყო, უსაფრთხო გარემოა. სააკაშვილი მიიჩნევს, რომ მანდატურის ინსტიტუტის ამუშავების შემდეგ საქართველოს სკოლები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხოა.

შემდეგი პრინციპი, პრეზიდენტის განცხადებით, განათლების ხარისხი და დასაქმებაზე ორიენტირებაა. **"გვინდა, რომ აქ აღებული ატესტატს, დიპლომს, სერტიფიკატს გასავალი ჰქონდეს,** - აღნიშნავს პრეზიდენტი, - **ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ საქართველოში მიღებული განათლება კონკურენტუნარიანი იყოს."**

სააკაშვილის თქმით, სკოლებში მთავარია მასწავლებლის დაფასება. **"მინიმალური საშტატო ხელფასი დღეს, დაახლოებით, 350 ლარია. ჩვენი ამოცანაა, რომ უახლოეს ხანში სერტიფიცირებული მასწავლებლის საშუალო ხელფასი 600 ლარი გახდეს,"** - ამბობს სააკაშვილი.

პრეზიდენტის განცხადებით, ბევრი პედაგოგი კვალიფიკაციის ასამაღლებლად უცხოეთში სტაჟირებაზე უნდა გაიგზავნოს. მან მასწავლებლებს მიმართა, რომ ნურავის დაშინებასა და კრიტიკას ნუ აყვებიან.

ვანო მერაბიშვილი რუსთავში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გუშინ რუსთავში იმყოფებოდა. ვანო მერაბიშვილმა "კავკასუს ავტო ჰაუსის" ავტოსადგომზე განთავსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა დაათვალიერა და ტექნიკის საქართველოს რეგიონებში გადანაწილების პროცესს დაესწრო.

როგორც პრემიერმა განაცხადა, ხელისუფლება ვადაზე ადრე იწყებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეგიონებში გადანაწილების პროცესსა და იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც საკუთარ თავზე აიღო.

"ჩვენ უფრო სწრაფი ტემპით ვასრულებთ ჩვენს ვალდებულებებს. ჩვენ დავპირდით მოსახლეობას, რომ მომდევნო ოთხ წელიწადში ტრაქტორს, აგრეგატს და კომბაინს შევიძენთ ჩვენი სოფლის მეურნეობისთვის. ჩვენ, პრაქტიკულად, უკვე დავიწყეთ ამ ვალდებულების შესრულება და დღეს ამ ტექნიკით ჩვენი სოფლის მეურნეობის სადგურები გამდიდრდება. მინდა, გითხრათ, რომ ამაზე არ გავჩერდებით და ვაპირებთ, ყოველწლიურად გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო პარკი. დარიგდება კალენდარი, რომელშიც მთლიანად აღწერილია ჩვენი ვალდებულებები - რომელ წელს, რომელ კვარტალში რას შევასრულებთ. თითოეულ მოქალაქეს შეუძლია, ჩვენი ეფექტურობა და ჩვენი წარმატებულობა ამ კალენდრის მიხედვით შეამოწმოს," - განაცხადა მერაბიშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ადამიანები, ვინც ამ ტექნიკას საქართველოს რეგიონებში ჩაიყვანენ, ახალი თაობის მექანიზატორები არიან.

"ვაპირებთ, შევქმნათ ძალიან კარგი სკოლა, რათა ამ ადამიანებმა კვალიფიკაცია აიმაღლონ და თანამედროვე მსოფლიო ტექნიკა აითვისონ, მოახმარონ სხვა ქალაქებს, რათა უფრო მეტი სარგებელი მიიღოს ქართველმა გლეხმა და ქართულმა სოფელმა," - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მან მადლობა გადაუხადა ერთადერთ ქალ მექანიზატორს, რომელმაც, როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა საკუთარი სურვილით ისწავლა. ვანო მერაბიშვილის განცხადებით, 200 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა საქართველოს რეგიონებში თორმეტივე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ცენტრში გადანაწილდება.

თორნიკე გორდაძე ბრიუსელში გაემგზავრა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თორნიკე გორდაძე სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუსთან, ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაისთან.

ამასთან, დაგეგმილია შეხვედრები ევროპული საგარეო ქმედებათა სამსახურის გენერალური მდივნის მოადგილე ჰელგა შმიტთან, ევროპისა და ცენტრალური აზიის აღმასრულებელ დირექტორ გუნარ ვიგანდთან და ასევე, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის კაბინეტის, ევროკომისარ შტეფან ფულეს კაბინეტისა და უმაღლესი წარმომადგენლის ქეთრინ ეშტონის კაბინეტის წევრებთან.

შეხვედრებზე მხარეები საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებისა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის დინამიკას განიხილავენ.

სწავლა დაიწყო

საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გუშინ ახალი სასწავლო წელი დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტმა სწავლის დაწყება საგარეჯოს რაიონის სოფელ შიბლიანის მოსწავლეებს პირადად მიულოცა. მიხეილ სააკაშვილთან ერთად, სკოლაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ხატია დეკანოიძე იმყოფებოდა.

შიბლიანში თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლა აშენდა, რომელიც 190 მოსწავლეზეა გათვლილი. როგორც სააკაშვილმა განაცხადა, საქართველოს ყველა სოფელში, რაც უნდა პატარა იყოს, კარგი სკოლა უნდა არსებობდეს.

დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ახალი სასწავლო წლის დაწყება პირველი და მეორე კურსის მსმენელებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მიულოცა. მინისტრი ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სასწავლო პროცესის დაწყებას უშუალოდ გაეცნო. საზეიმო ღონისძიება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ორკესტრმა შეასრულა. სახელმწიფო ჰიმნის შემდეგ აკადემიის მსმენელებმა და დამსწრე სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს.

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მიულოცა. ზურაბ ჭიაბერაშვილმა სტუდენტებთან შეხვედრაზე ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების პრიორიტეტებსა და გამოწვევებზე ისაუბრა. მინისტრმა ყურადღება განათლების მაღალი დონისა და პროფესიონალი მედიკოსების მომზადების აუცილებლობაზე გაამახვილა.

ყველა პირველკლასელს, პრეზიდენტის ინიციატივის ფარგლებში, უკვე მეორე წელია, საჩუქრად გადაეცემა ნეტბუკი, რომელშიც სასწავლო პროგრამაა ჩატვირთული.

სხვადასხვა კატეგორიის 140 ათასი მოსწავლე, პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით, სახელმწიფოსაგან საჩუქრად სასკოლო სახელმძღვანელოებს მიიღებს. წელს პირველად სასკოლო სახელმძღვანელოები საქართველოს მასშტაბით 400-მდე სკოლაში იყიდება. თითოეულის ფასი, მაქსიმუმ, ათი ლარია. სიახლეა ისიც, რომ მასწავლებლები სკოლებში ელექტრონული ჟურნალებით იმუშავებენ.

"ჩვენი გეშინოდეთ" - თსუ-ს სტუდენტთა ნაწილი დაუმორჩილებლობით იმუქრება

მარი ახსიაშვილი

სტუდენტურმა გაერთიანებამ "ლაბორატორია 1918"-მა გუშინ თსუ-სთან მორიგი აქცია გამართა. მათ მიერ თავდაპირველად წამოყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ - დაიშალოს რეგენტთა საბჭო, უნივერსიტეტში დაბრუნდნენ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ლექტორები, სტუდენტებს მიეცეთ საგნების არჩევის საშუალება, თანამდებობიდან გადადგეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ანდრო ბარნოვი, შემცირდეს სწავლის გადასახადი და თსუ-ს ჰქონდეს რეალური ავტონომია, კიდევ ერთი დაემატა - გადადგეს რექტორი.

სტუდენტების აქცია თავდაპირველად თსუ-ს პირველ კორპუსთან მიმდინარეობდა. მოგვიანებით მათ ტრანსფარანტებითა და სასტვენებით ჯერ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, შემდეგ კი თსუ-ს რექტორის კაბინეტის მისაღებში გადაინაცვლეს. სტუდენტები სკანდირებდნენ - "გეშინოდეთ ჩვენი", "ავტონომია უნივერისტეტს", "დაუბრუნეთ უნივერსიტეტს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ლექტორები". აქციის მონაწილეებმა ალექსანდრე კვიტაშვილთან შეხვედრა მოითხოვეს. რექტორი სტუდენტებთან გამოვიდა, რის შემდეგაც კვიტაშვილსა და აქციის მონაწილეებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. კვიტაშვილმა განაცხადა, რომ ერთი წელია, "ლაბორატორია 1918"-ის წევრებთან შეხვედრას უშედეგოდ ითხოვს. რექტორის ამ განცხადებას სტუდენტების მძაფრი რეაქცია მოჰყვა. მათი თქმით, ორი წელია, თავად ითხოვენ რექტორთან შეხვედრას, თუმცა ეს ვერ ხერხდება და კვიტაშვილის განცხადება, რომ შეხვედრის სურვილი ჰქონდა, ტყუილია. სტუდენტებმა რექტორს ისიც განუცხადეს, რომ უნივერსიტეტში ავტოკრატიაა, მაღალი გადასახადების შესაბამისი სწავლების დონე არ არის, რექტორი, რექტორატი და რექტორატთან დაახლოებული პირები მხოლოდ მაღალ ხელფასებს იღებენ, საქმე კი არ კეთდება. სტუდენტებმა რექტორს სააქტო დარბაზში გადასვლისკენ მოუწოდეს, თუმცა რექტორმა უპასუხა, რომ ასეთ რეჟიმში აღელვებულ სტუდენტებთან შეხვედრა წარმოუდგენელია. ალექსანდრე კვიტაშვილმა სტუდენტებს ურჩია, შექმნან ჯგუფი, რომელთანაც ის დიალოგს წარმართავს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის განცხადებით, სტუდენტების მოთხოვნის ნაწილი სამართლიანია, ნაწილი კი შეუსრულებადი.

"მაგალითად, ბაზების პრობლემის მოგვარება საკმაოდ გრძელვადიანია და მისი ასე სწრაფად გამოსწორება შეუძლებელია. ეს საკმაოდ რთული პროცესია და ამას უნივერსიტეტი აღიარებს. მე, უბრალოდ, ვერ ვხვდები, რა საჭიროა პროტესტის ასეთი ფორმა," - განაცხადა კვიტაშვილმა.

რაც შეეხება რეგენტთა საბჭოს გაუქმებას, კვიტაშვილის განცხადებით, ამას უნივერსიტეტი ნამდვილად ვერ მოახერხებს, რადგან ეს უნივერსიტეტის პრეროგატივა არ არის. რექტორის თქმით, რეგენტთა საბჭოს გაუქმებისთვის კანონში ცვლილება უნდა შევიდეს.

"რეგენტთა საბჭოსთან უნივერსიტეტს ურთიერთობა აქვს წლის დასაწყისში, როცა ბიუჯეტის დამტკიცება ხდება, ხოლო ბიუჯეტის ხარჯვისას მხოლოდ უნივერსიტეტია პასუხისმგებელი. საბჭო აკონტროლებს იმ პროცესს, რომ უნივერსიტეტის ქონების გასხვისება არ მოხდეს," - განმარტა რექტორმა.

კვიტაშვილმა ასევე უპასუხა სტუდენტების კიდევ ერთ მოთხოვნას, რომელიც პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული რექტორების სამსახურში დაბრუნებას ეხება.

"გათავისუფლებულ ლექტორს ლელა გაფრინდაშვილს არანაირი კავშირი არა აქვს არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან. ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლო ადამიანი, რომელიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ მიეკუთნება," - განაცხადა კვიტაშვილმა და დასძინა, რომ გაფრინდაშვილს კონტრაქტის ვადა ამოეწურა.

"აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება გარკვეული ვადით, ვადის გასვლის შემდეგ კი ტარდება კონკურსი. გაფრინდაშვილმა კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელი სილაბუსი არ წარმოადგინა, რის გამოც მან კონკურსში მონაწილეობა ვერ მიიღო," - განმარტა კვიტაშვილმა.

მოგვიანებით სტუდენტებმა პირველი კორპუსიდან მე-6 კორპუსთან გადაინაცვლეს. აქციის მონაწილეებთან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ანდრო ბარნოვი გამოვიდა, თუმცა სტუდენტები მას საპროტესტო შეძახილებით შეხვდნენ. ბარნოვმა სტუდენტებს მოუწოდა, შენობაში შესულიყვნენ და დიალოგი დაეწყოთ, თუმცა აქციის მონაწილეებმა შეთავაზება არ მიიღეს და განაცხადეს, რომ თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილესთან არაფერი ესაქმებათ.

"ჩვენ გვჭირდება ისეთი დეკანი, რომელიც ფაკულტეტს განავითარებს და სტუდენტების უფლებებს არ შეზღუდავს," - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

სტუდენტები დღეს "მზიურთან" შეიკრებებიან და სამმავლო გეგმებს დასახავენ, ხოლო აქცია ხვალ გაგრძელდება, თუმცა ადგილი და საათი ჯერჯერობით უცნობია.

ცხინვალში თვითაფეთქება მოდაშია

ნათია მსხილაძე

პოლიტიკურ-კრიმინალური გარჩევა, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ოპერაცია თუ

თვითაფეთქება? - ეს ის ვერსიებია, რომლებზეც დე ფაქტო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იბრაჰიმ გასეევის სახლის კართან მომხდარი აფეთქების შემდეგ ცხინვალში აქტიურად საუბრობენ.

იბრაჰიმ გასეევის პოლიტიკური კარიერა ედუარდ კოკოითის პრეზიდენტობის პერიოდიდან იწყება. გასეევი კოკოითის უახლოესი მეგობარი და ნდობით აღჭურვილი პირი იყო. უშუალოდ იბრაჰიმ გასეევს ეკუთვნოდა ინიციატივა კონსტიტუციაში იმ ცვლილების შეტანისა, რომელიც პრეზიდენტის მესამე ვადით არჩევას ითვალისწინებდა. გასეევი, თანამოაზრეებთან ერთად, ცხინვალის პარლამენტშიც შევარდა და დეპუტატებს საკონსტიტუციო ცვლილების სწრაფად მიღებას აიძულებდა.

ცხინვალის რუსეთიდან გადმორიცხული რუბლების გათეთრებაც იბრაჰიმ გასეევის დამსახურებაა. ედუარდ კოკოითის მიერ შექმნილ სხვადასხვა ფონდებს სწორედ გასაევი კურირებდა. ცხინვალში აქტიურად საუბრობენ თავდაცვის სამინისტროს ანგარიშებიდან მოხსნილ თანხებზე, რომლებიც გასეევს და მის მეგობრებს გაჰქონდათ. ამ ფაქტის გამოსაკვლევად ახლანდელმა დე ფაქტო ხელისუფლებამ სპეციალური კომისია შექმნა. კომისიამ დააგინა, რომ გასეევს და მის მეგობრებს სულ 88 მილიონი რუბლი აქვთ გატანილი. ცხინვალის თავდაცვის სამინისტრო ამ ფულის დაბრუნებას ითხოვს. აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, არ გამორიცხავენ, რომ გასეევის სახლის კართან მომხდარი აფეთქება პოლიტიკურ-კრიმინალური გარჩევა ყოფილიყო.

თუმცა, მეორე მხრივ, ახლანდელი მარიონეტული ხელისუფლება აფეთქებას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს მიაწერს. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის აკადემიის კურსდამთავრებული იბრაჰიმ გასეევი სამხრეთ ოსეთში ერთი-ერთი ყველაზე მაღალი დონის სამხედრო სპეციალისტია. **"რესპუბლიკაში არსებობს დესტრუქციული ძალები, რომლებსაც საზოგადოებაში შიშის და ქაოსის დათესვა სურთ. რესპუბლიკის პროკურატურა აფეთქებასთან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების კავშირს ხედავს,"** -აცხადებს ლეონიდ თიბილოვი.

როგორც ოსური მედია წერს, უკვე ცნობილია, რომ გასეევის ბინის კართან დამონტაჟებულ ასაფეთქებელ მოწყობილობას იმხელა სიმძლავრე არ ჰქონდა, ვინმე დაეზარალებინა. ეს ინფორმაცია უკვე გამორიცხავს ამ საქმეში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მონაწილეობას. ამიტომ გაჩნდა ვერსია, რომ ეს უფრო თვითაფეთქება იყო, ვიდრე სხვა რამ.

ცხინვალში საეჭვო აფეთქებები უცხო არ არის. დაახლოებით, ერთი წლის წინათ, არჩევნების დროს, მაშინდელი გენერალური პროკურორის თეიმურაზ ხუგაევის სახლი ააფეთქეს. ამ საეჭვო აფეთქების დროსაც არავინ დაშავებულა. თუმცა იყო ისეთი თავდასხმები და აფეთქებები, რომლებსაც მსხვერპლი მოჰყვა. ცოტა ხნის წინ პროკურატურის და სახელმწიფო დაცვის თანამშრომლები დახოცეს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ხუთი მინისტრი ერთი მისიით

პირველი გვერდიდან

მოგვიანებით კი ქართველ მინისტრთან ერთობლივი პრესკონფერენცია მოაწყვეს. ვაშაძემ კოლეგებს საქართველოში დემოკრატიული პროცესის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ევროპელ დიპლომატებთან საუბრის მთავარი თემები ჩამოაყალიბა. როგორც გრიგოლ ვაშაძე ამბობს, შეხვედრის დროს არჩევნების, სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის, ასევე ნატო-სა და ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობა განიხილეს.

ევროპელი დიპლომატების მთავარი გზავნილი არჩევნებს ეხებოდა. ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ნიკოლაი მლადენოვისთვის სამაგალითოა ის, თუ როგორ შეძლო საქართველომ ევროპასთან ურთიერთობაში პროგრესირება. ამასთან, მისივე თქმით, უმნიშვნელოვანესია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ყველაფერი მაღალ დონეზე ჩატარდეს. მლადენოვმა საქართველოს ყველა მოქალაქეს ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ არჩევნების ბედს სწორედ მათი ხმები გადაწყვეტს.

მისი ჩეხი კოლეგა კარელ შვარცენბერგი პირობას იძლევა, რომ საარჩევნო პროცესის მიუკერძოებელი დამკვირვებლები იქნებიან. **"ჩვენ ფაქტებს აღვრიცხავთ, საუკეთესო მეგობარი არის ის, ვინც შეცდომებს ხედავს და გვეუბნება,** - აცხადებს შვარცენბერგი და დასძენს, - **ამ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროპისთვის."** როგორც დიპლომატი აცხადებს, მათ პოზიციაზე არც ერთი მხარე არ მოახდენს გავლენას.

ლატვიის საგარე საქმეთა მინისტრ ედგარ რიკნევიჩის აზრით, საქართველოში თავისუფალ და სამართლიან გარემოში არჩევნების ჩატარება მძლავრი სიგნალი იქნება რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის. **"მნიშვნელოვანია, ყველა პოლიტიკურ ძალას სამართლიანი და თანაბარი პირობები ჰქონდეს. თუ გამოცხადებულ შედეგებს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები სამართლიანად აღიარებენ, მაშინ შედეგები ყველა პარტიამ უნდა ცნოს,"** - განაცხადა ლატვიელმა დიპლომატმა. მანვე საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ზოგჯერ წინასაარჩევნო გამოკითხვის შედეგები რეალური შედეგისგან დიდად განსხვავდება. მისი თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნების შედეგია. მას საუბარში კარელ შვარცენბერგი ჩაერთო და ხუმრობით დასძინა: **"წინასაარჩევნო გამოკითხვებისთვის დიდი ყურადღება რომ მიმექცია, პოლიტიკიდან უკვე 10 წლის წასული ვიქნებოდი."**

დიპლომატებმა სხვა საკითხებსაც დაუთმეს ყურადღება. აუდრონიუს აჟუბალისი ამბობს, რომ მათი ვიზიტის მიზანია ნატო-სა და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე საქართველოსთვის ძლიერი მხარდაჭერის გამოხატვა. ამასთან ლიტველი დიპლომატი ოქტომბრის არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარების მნიშვნელობასაც აღნიშნავს და დასძენს, რომ საქართველოში რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად არ ჩამოსულან. მათი მიზანი ნატოსა და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს პროგრესის დანახვაა.

რუმინელი ტიტუს კორლატეანის თქმით, საქართველოს რეფორმების და აღმოსავლეთ პარტნიორობის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული. ეს კი რუმინელ დიპლომატს იმის თქმის საფუძველს აძლევს, რომ ქვეყნის წინსვლა გაგრძელდება.

პრესკონფერენციის შემდეგ ევროპელი მინისტრები ჯერ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილს პარლამენტში შეხვდნენ, შემდეგ კი კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილთან გამართეს მოლაპარაკება.

აკაკი მინაშვილის აზრით, საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტის მთავარი გზავნილი საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული, მათ შორის საარჩევნო პროცესების მხარდაჭერაა. **"ამის დასტურია ყველა შეხვედრა, რომლებსაც ასეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოების მინისტრები მართავენ,"** - ამბობს მინაშვილი და დასძენს, რომ მინისტრების მეორე გზავნილი ევროკავშირსა და ნატო-ში საქარველოს მისწრაფებების მხარდაჭერაა. **"ინტეგრაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს,"** - შენიშნავს აკაკი მინაშვილი.

ბიძინა ივანიშვილმა კი შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ დიპლომატები "ქართული ოცნების" საგარეო პოლიტიკური მიმართულებით დაინტერესდნენ. **"მათ კიდევ ერთხელ დააზუსტეს ჩვენი სტრატეგია, რაც არის ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ასევე ჩვენი საგარეო პოლიტიკური ხედვები, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობის მიმართულებით,"** - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა. კოალიციის ლიდერის თქმით, მან დიპლომატებისგან მოისმინა, რომ ისინი პატივს სცემენ თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებს და საქართველოში ჩამოვიდნენ არა რომელიმე პარტიის, არამედ დემოკრატიის მხარდასაჭერად. კოალიციიდან შეხვედრას ესწრებოდნენ დავით უსუფაშვილი, ალექსი პეტრიაშვილი და დავით ზალკალიანი.

სამი ოპოზიციური პარტია - "ქრისტიან-დემოკრატები," "ლეიბორისტები," და "ახალი მემარჯვენეები" კი მინისტრებთან შეხვედრაზე ერთად იყვნენ დაპატიჟებულნი. გიორგი თარგამაძის თქმით, დიპლომატებს აინტერესებდათ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგებით ხალხი უკმაყოფილო დარჩება. **"ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა რთულია,** - ამბობს თარგამაძე და დასძენს, - **მთავარია, საქმე გართულებამდე არ მივიდეს."**

სოსო შატბერაშვილმა აღნიშნა, რომ დიპლომატები მოსალოდნელი გაყალბების შესახებ გააფრთხილეს. **"გაყალბება როგორც სააკაშვილის, ასევე ივანიშვილის მხრიდან არის მოსალოდნელი,"** - ამბობს შატბერაშვილი.

დავით გამყრელიძის თქმით კი, მინისტრებს აინტერესებდათ, "მემარჯვენეები" ცნობენ თუ არა არჩევნების შედეგებს, თუკი მათ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ. **"ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, რომ ხალხის ნება ჩვენთვის უზენაესია,"** - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

ვიზიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ანჟეი ტიშკევიჩს შეხვდნენ. დიპლომატებმა სადამკვირვებლო მისიას პოლიტიკურ მხარდაჭერა გამოუცხადეს და აღნიშნეს, რომ მათი ქვეყნების წარმომადგენლები მისიის საქმინობაში უშუალოდ არიან ჩართულები.

საგარეო საქმეთა მინისტრები მიიჩნევენ, რომ 2008 წლის აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება აუცილებლად უნდა შესრულდეს. **"მნიშვნელოვანია, ადგილობრივ მოსახლეობას თავისუფალი გადაადგილების საშუალება მიეცეს და მისია ამ კუთხით მუშაობს,"** - განაცხადა აუდრონიუს აჟუბალისმა.

"შესაძლო დესტაბილიზაციაზე პასუხისმგებლობა რუსეთს დაეკისრება"

პირველი გვერდიდან

"კავკასია 2012"-ის შესახებ გუშინ კომენტარები კეთდებოდა თბილისში, მათ შორის უცხოელი სტუმრებისგან. საქართველოში ვიზიტით მყოფ ლიტვის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ აუდრონიუს აჟუბალისის განცხადებით, რუსეთის მასშტაბური სამხედრო წვრთნები "კავკასია 2012" რეგიონს ნამდვილად არ მატებს სტაბილურობას.

"შესაძლო დესტაბილიზაციაზე პასუხისმგებლობა რუსეთს დაეკისრება," - აღნიშნა აჟუბალისმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ეს წვრთნები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ რეგიონს უქმნის საფრთხეს. ვაშაძის თქმით, საქართველოს ხელისუფლება ჯერ კიდევ იანვრიდან აცხადებდა, რომ რუსეთის მიერ დაგეგმილი მასშტაბური სამხედრო წვრთნები რეგიონის უსაფრთხოებას ემუქრება.

"ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რა შედეგი მოიტანა 2008 წელს ჩატარებულმა რუსულმა სამხედრო წვრთნამ, რომელიც ამაზე ბევრად ნაკლები მასშტაბის იყო. საქართველოს დიპლომატიურმა მცდელობებმა შედეგი გამოიღო და საერთაშორისო თანამეგობრობა მძაფრ შეკითხვებს უსვამს რუსეთს ამ წვრთნების შესახებ," - განაცხადა ვაშაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ აკაკი მინაშვილის მოსაზრებით, რუსეთის მიერ სამხედრო წვრთნების - "კავკასია 2012"-ის სექტემბრის მეორე ნახევარში ჩატარების ფაქტი გარკვეულ კითხვებს ბადებს. როგორც ჟურნალისტებს მინაშვილმა განუცხადა, ამ წვრთნებს ქართული მხარე ყურადღებას აქცევს და ამის შესახებ დეტალურ ინფორმაციას დასავლელ პარტნიორებს აწვდის.

"ფაქტია, რომ აღნიშნული სამხედრო წვრთნები სექტემბრის მეორე ნახევარში პირველად ტარდება, აქამდე კი ივლისში იმართებოდა. კითხვები ჩნდება არა მხოლოდ საქართველოში. ჩვენ ვნახეთ ნატო-ს გენერალური მდივნისა და სხვა პოლიტიკური ლიდერების განცხადებები, რომ ეს წვრთნები შემაშფოთებელია. ძალიან რთულია, დაუჯერო რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და მათ განცხადებებს. ჩვენ მათთან ურთიერთობის დიდი ისტორია გვაქვს და მათი სანდოობა ძალიან დაბალია," - დასძინა მინაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ გასული კვირის ბოლოს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა რუსეთს წვრთნების ჩატარებისას გამჭვირვალობისკენ მოუწოდა.

"ჩვენ წვრთნების წინააღმდეგნი არ ვართ, ჩვენ მოვუწოდებთ გამჭვირვალობისკენ, რაც ორმხრივი ნდობისთვის უმთავრესად მიგვაჩნია. რა მიზნები აქვს წვრთნებს, როდის და სად ჩატარდება? ჩვენ რუსეთისგან არავითარი ოფიციალური ინფორმაცია არ მიგვიღია და ამის გამო ძალიან ვწუხვართ," - განაცხადა რასმუსენმა Euronews-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

თუმცა, ამ პრეტენზიებს რუსეთში უსაფუძვლო უწოდეს. მოსკოვში აცხადებენ, რომ აღნიშნული მანევრები რუსეთის მეზობელი ქვეყნების შიდა ვითარებას, კონკრეტულად კი საქართველოში ჩასატარებელ არჩევნებს არ უკავშირდება.

"ეს წვრთნები ჯერ კიდევ 2011 წელს დაიგეგმა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებთან არავითარი კავშირი არა აქვს," - განაცხადა რუსეთის გენშტაბის ხელმძღვანელის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრ პოსტნიკოვმა.

ამასთან, რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ "კავკასია 2012"-ში აღარ მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში განთავსებული რუსეთის სამხედრო ბაზები. როგორც ოფიციალურმა მოსკოვმა განაცხადა, ეს ნაბიჯი საქართველოში წვრთნების მიმართ გაჩენილი ეჭვების გამო გადადგეს. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კანდელაკს არ სჯერა რუსეთის ხელისუფლების არგუმენტისა, თითქოს "კავკასია 2012"-ის ჩატარების არეალი საქართველოში სიმშვიდის შესანარჩუნებლად შემცირდა.

"ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთმა საკმაოდ დიდი ზომისა და მნიშვნელობის სამხედრო და სამხედრო-საინჟინრო ინფრასტრუქტურა შექმნა. საქართველოს ამ ტერიტორიებზე უკვე თავმოყრილია დიდი ოდენობით ძალები, საწყობები, დეპოები, სარაკეტო შახტები და სხვა. ამიტომ რუსეთს ამ ტერიტორიებზე წვრთნების ჩატარება არც სჭირდება. სომხეთში კი რუსეთი სამხედრო წვრთნებს კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის ეგიდით ატარებს. რაც შეეხება ჩეჩნეთს, მასზე რუსეთის ხელისუფლებას ნომინალური კონტროლი აქვს," - უთხრა კანდელაკმა "24 საათს".

"ქართულმა ოცნებამ" ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაცია გამართა

"ქართულმა ოცნებამ" გუშინ ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. პროგრამა კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ნოდარ ხადურმა წარადგინა.

მისი განცხადებით, პროგრამა ითვალისწინებს ყველა იმ მიმართულებას, რომელთა განხორციელებასაც ისინი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში გეგმავენ და რის შედეგადაც ქვეყანა უფრო საინტერესო უნდა გახდეს ინვესტორებისთვის, გადაიჭრას უმუშევრობის, სიღარიბისა და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის პრობლემები.

"ჩვენი ხედვა ეფუძნება საბაზრო ეკონომიკას, თუმცა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამათლიანი, თავისუფალი და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა. ამისთვის მთავარია, პოლიტიკური ნება არსებობდეს," - განაცხადა ხადურმა.

მისივე თქმით, კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ტარიფებისა და პენსიების საკითხებიც გადაიხედება.

ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაცია 4 ორგანიზაციის - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის, "ლიბერალური აკადემიისა" და "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" წინასაარჩევნო პროექტის ფარგლებში გაიმართა.

სახალხო დამცველი პრემიერ-მინისტრს რეკომენდაციით მიმართავს

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პრემიერ-მინისტრს რეკომენდაციით მიმართავს და მოუწოდებს, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სოციალური დახმარებების სისტემის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმებს გადახედოს.

როგორც სახალხო დამცველი ოფიციალურ განცხადებაში განმარტავს, საკანონმდებლო ნორმების გადახედვა ხელს შეუწყობს, საარსებო შემწეობის შემწეობის შენარჩუნების მიზნით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიერ გენდერული ძალადობის არსებული ფაქტების დამალვის/უგულებელყოფის ტენდენცია შეიცვალოს და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური დაცვის გარანტიები განმტკიცდეს.

გიორგი ტუღუშის განმარტებით, ეს ასევე ხელს შეუწყობს, შემუშავდეს ინფორმაციის გაცვლის ეფექტური სისტემა სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა და ასევე არასამთავრობო სექტორში არსებულ თავშესაფრებს შორის.

UNDP კახელ ფერმერებს დაეხმარება

გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP) სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ კახელ ფერმერებს დაეხმარება. UNDP-ის ცნობით, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და კონსულტანტები გურჯაანის, თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების 30-ზე მეტ სოფელს ეწვევიან. მათი დახმარებით ფერმერები სეტყვით დაზიანებული ვენახებისა და ხეხილის ბაღების რეაბილიტაციას შეძლებენ.

კახეთის რეგიონში მუშაობს ოთხი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში შედიან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრის გამოცდილი სპეციალისტები. თეორიული კონსულტაცია და პრაქტიკული ტრენინგი მცენარეთა მოვლას და მკურნალობას, პესტიციდებისა და სასუქების სწორად და დროულად გამოყენებას, დაზიანებული ვენახებისა და ხეხილის ბაღების დაცვასა და რეაბილიტაციას მოიცავს.

ამ დრომდე კონსულტაცია და ტრენინგი 700-მა ფერმერმა გაიარა. სექტემბრის ბოლომდე საკონსულტაციო დახმარებას 1500-მდე ფერმერი მიიღებს. 600 სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე ჩატარდება სადემონსტრაციო სამუშაოები და გაიცემა პრაქტიკული რეკომენდაციები.

დახმარების პროგრამა 2012 წლის დეკემბრამდე გაგრძელდება. აგრონომიული კონსულტანტების გარდა, ფერმერებთან იმუშავებენ აგრობიზნესის სპეციალისტებიც, რომლებიც ფერმერებს ფინანსური ზარალის შემცირებისა და მეურნეობის სამომავლო განვითარების საკითხებზე მისცემენ რჩევებს.

გიგა ლიპარტელიანი ივანიშვილს მკვლელობის შეკვეთაში ადანაშაულებს

წიგნის "სიმართლე, რომელიც ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს" ავტორი გიგა ლიპარტელიანი "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს ძმებ კვანტრიშვილების მკვლელობის შეკვეთაში ადანაშაულებს. ამის შესახებ ლიპარტელიანმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მან მოამზადა 30-წუთიანი დოკუმენტური მასალა სახელწოდებით - "ორი რუსული მკვლელობის ერთი ქართველი შემკვეთი". ლიპარტელიანის განმარტებით, ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ ბანკ "რასიისკი კრედიტში" ვასილ ანისიმოვის ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ საჭირო გახდა ძმებ ამირან და ოთარ კვანტრიშვილების ფიზიკური ლიკვიდაცია, რომლებსაც ალუმინის ბიზნესში ინტერესები ჰქონდათ.

"1993 წლის აგვისტოში მოკლეს ამირან კვანტრიშვილი, ხოლო 1994 წელს - მისი ძმა ოთარ კვანტრიშვილი. ეს მკვლელობები ბიძინა ივანიშვილმა შეუკვეთა. ამ საქმეზე დააკავეს "რასიისკი კრედიტის" მიერ დაქირავებული ქილერი ალექსანდრე სალონიკი, რომელმაც დანაშაული აღიარა და დამკვეთად "რასიისკი კრედიტი" და ბიძინა ივანიშვილი დაასახელა," - განაცხადა ლიპარტელიანმა.

მისივე თქმით, დანაშაულის აღიარების შემდეგ სალონიკი საპატიმროდან გააპარეს.

"ზესტაფონელი ძმების მკვლელობა რუსეთში შეუკვეთა საჩხერელმა კაცმა - ამაზე მეტი სიბინძურე რა უნდა იყოს. თუ ნამუსი აქვს შერჩენილი, გამოვიდეს და მიპასუხოს," - განაცხადა ლიპარტელიანმა.

მისივე თქმით, ივანიშვილი ტყუის, როდესაც ამბობს, რომ კვანტრიშვილებს არ იცნობს. ლიპარტელიანის განცხადებით, ფაქტები ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გამოსაძიებლად უნდა გადაეცეს.

"ჰეზბოლა" მორწმუნეებს საპროტესტო გამოსვლებისაკენ მოუწოდებს

რადიკალური შიიტური მოძრაობა "ჰეზბოლას" ლიდერმა შეიხ ნასრალამ ამერიკული ფილმის გასაპროტესტებლად ლიბანში ახალი საპროტესტო გამოსვლის მოწოდება გააკეთა. ნასრალას ვიდეომიმართვაში საუბარია, რომ მსოფლიომ "აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ მუსულმანები შეურაცხყოფას ჩუმად არ შეხვდებიან."

ახლო აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნებში საპროტესტო გამოსვლები უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება. გამოსვლების მიზეზი ამერიკელი რეჟისორის მიერ გადაღებული ფილმი გახდა, რომელიც, მუსლიმების აზრით, მათ წინასაწარმეტყველ მუჰამედს შეურაცხყოფს (ამის შესახებ უკვე წერდა "24 საათი").

მიმართვაში შეიხმა მორწმუნეებს რამდენიმედღიანი საპროტესტო გამოსვლების მოწყობისაკენ მოუწოდა. სავარაუდოდ, პირველი აქცია დღეს ბეირუთის სამხრეთ გარეუბანში გაიმართება, რომელსაც, ფაქტობრივად, "ჰეზბოლა" აკონტროლებს. ნასრალას თქმით, ის რეგიონში რომის პაპის სამდღიანი ვიზიტის დასრულებას დაელოდა და მიმართვა მას შემდეგ გაკეთა.

ამერიკა იაპონიაში კიდევ ერთ რადარს განათავსებს

ამერიკის თავდაცვის მინისტრის ლეონ პანეტას განცხადებით, იაპონია და ამერიკა იაპონიაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის მეორე ელემენტის განთავსების შესახებ შეთანხმდნენ. ჯერ ბოლომდე არ არის დაზუსტებული, თუ სად განთავსდება ახალი რადიოსალოკაციო სადგური. პანეტას თქმით, აღნიშნული სისიტემა ჩრდილოეთ კორეიდან მომავალი საფრთხის შემთხვევაში ამერიკისა და იაპონიის უკეთ დაცვას უზრუნველყოფს. ანალიტიკოსების ვარაუდით, აღნიშნული შეთანხმება ჩინეთის გაღიზიანებას გამოიწვევს.

დაპირისპირება ადგილობრივებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის როსტოვის ოლქში

როსტოვის ოლქში გასულ კვირას ადგილობრივებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის რამდენიმე მასობრივი ჩხუბი მოხდა. ყველაზე მასშტაბური დაპირისპირება სოფელ რემონტნოეში დაფიქსირდა, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლები ბაზრებიდან დაღესტნელების გაყრას მოითხოვდნენ. პოლიციის ცნობით, კონფლიქტის შედეგად საავადმყოფოში რვა ადამიანი გადაიყვანეს. "კომსომოლსკაია პრავდა" კი წერს, რომ სოფელ რემონტნოეს მცხოვრებლები შემხვედრ კავკასიელებს სასტიკად უსწორდებოდნენ.

მართალია, პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში აცხადებენ, რომ მათ დაპირისპირება აღკვეთეს, თუმცა თავად კავკასიელები აღნიშნავენ, რომ სამართლადამცავი სტრუქტურის წარმომადგენლები თავად მიუთითებდნენ, თუ ვინ უნდა ეცემათ და ვინ - არა.

ბაღდადში "მწვანე ზონასთან" აფეთქებას 4 ადამიანი ემსხვერპლა

ერაყის დედაქალაქ ბაღდადში ე.წ "მწვანე ზონასთან" ახლოს მომხდარ აფეთქებას 4 ადამიანი ემსხვერპლა. დაშავდა, სულ მცირე, 11 კაცი. ამ რაიონში უცხოეთის წარმომადგენლობები და სამთავრობო ობიექტებია განლაგებული, მათ შორის, ამერიკის საელჩოც. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, აფეთქდა დანაღმული ავტომანქანა. გარდაცვლილებს შორის ორი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელია.

"დაიკავე უოლ სტრიტის" მოძრაობამ წლისთავი აღნიშნა

16 სექტემბერს მოძრაობა "დაიკავე უოლ სტრიტის" წევრები ერთი წლისთავის აღსანიშნავად მანჰეტენზე, ზუკოტოს პარკში შეიკრიბნენ. ერთი წლის წინ შექმნილი მოძრაობა "1 პროცენტის მიერ 99 პროცენტის მართვას" აპროტესტებს. აშშ-ს გარდა, მოძრაობას მიმდევრები მრავალ ქვეყანაში გამოუჩნდნენ. პოლიციის განცხადებით, მათ კვირას არავინ დაუკავებიათ, თუმცა 40 დემონსტრანტი დააკავეს შაბათს, რომელთაც სხვადასხვა დანაშაულში ედებათ ბრალი, მათ შორის, უწესრიგოდ მოქცევასა და პოლიციის მიმართ დაუმორჩილებლობაში.

ავღანეთი: ნატო-ს საჰაერო იერიშს რვა ქალი ემსხვერპლა

ავღანეთის ადგილობრივი ოფიციალური პირების განცხადებით, აღმოსავლეთ ავღანეთში, ლაგმანის პროვინციაში ნატო-ს მიერ განხორციელებულ საჰაერო იერიშს, სულ მცირე, რვა ქალი ემსხვერპლა. ნატო აცხადებს, რომ იერიშის შედეგად 30 შეიარაღებული მებრძოლია მოკლული, თუმცა აღიარებს, რომ დაღუპულებს შორის, შესაძლოა, სამოქალაქო პირებიც იყვნენ.

კეტრინ ეშტონი ირანის მთავარ მომლაპარაკებელს შეხვდება

დღეს საგარეო ურთიერთობებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი ირანის მთავარ მომლაპარაკებელს საედ ჯალილს შეხვდება. აღნიშნულის შესახებ ეშტონის ოფისმა გუშინ განაცხადა. ცოტა ხნის წინ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თქვა, რომ თეირანის ატომური პროგრამის ირგვლივ არსებული პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელმა იუკიო ამანომ ცოტა ხნის წინ ასევე განაცხადა, რომ მისი სააგენტო ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან მოლაპარაკებების გაგრძელებას კიდევ აპირებს. ეშტონისა და ჯალილის შეხვედრა სტამბულში გაიმართება.

მოამზადა თამთა კახაძემ

დაძაბულობა ჩინეთსა და იაპონიას შორის გრძელდება

პირველი გვერდიდან

ექსპერტების უმრავლესობის აზრით, საქმე ომამდე არ უნდა მივიდეს, მაგრამ არ არის გამორიცხული, ჩინელებმა კუნძულებზე "მშვიდობიანი დესანტის" გადასხმა სცადონ და მაშინ მათი "დეპორტაცია" იაპონიას ძალით მოუწევს. იაპონიის მედია კუნძულების დასაცავად მცირემასშტაბიან შეიარაღებულ ინციდენტსაც კი არ გამორიცხავს.

ჩინეთმა გემები სადავო ზონაში მას შემდეგ გაგზავნა, რაც იაპონიამ, ფაქტობრივად, კუნძულების ნაციონალიზაცია მოახდინა: კერძო მფლობელისგან - კირუხარას ოჯახისგან - არქიპელაგის სამი კუნძულის შესყიდვის თაობაზე გარიგება დადო.

სადავო კუნძულები, რომელიც იაპონიაში - სენკაკუს, ხოლო ჩინეთში დიაოუიტაის (სხვა ტრანსკრიპციით - დიაოუიდაოს) სახელითაა ცნობილი, დიდი ხანია, რეგიონში დაპირისპირების მიზეზს წარმოადგენს. კუნძულებს, რომლებიც მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ამჟამად იაპონია აკონტროლებს. ჩინეთისა და იაპონიის გარდა, ამ კუნძულებზე პრეტენზიას ტაივანიც აცხადებს.

ტოკიო და პეკინი უკვე დიდი ხანია კამათობენ იმის თაობაზე, თუ რომელი სახელმწიფოს კუთვნილებაა ეს კუნძულები. 2010 წელს დავა სერიოზულ დიპლომატიურ სკანდალში გადაიზარდა.

2012 წელს კონფლიქტი კვლავ მას შემდეგ გამწვავდა, რაც ტოკიომ კუნძულების შესყიდვის თაობაზე გააკეთა განცხადება. ჩინეთმა არქიპელაგის ზონაში საპატრულო კატერღები გაგზავნა, რათა კუნძულებზე თავისი იურისდიქციისთვის ხაზი გაესვა. ათასობით ჩინელი კი ქუჩებში გამოვიდა. მათ დაწვეს იაპონიის დროშები, დაანგრიეს იაპონური მაღაზიები, კაფეები, რესტორნები, თავს დაესხნენ იაპონური წარმოების მანქანებს (მათ შორის, პოლიციის "ჰონდებსაც" კი). თავდასხმების შედეგად მძიმედ დაშავდა ავტომწარმოებელი "ტოიოტას" წარმომადგენელი ჩინეთში.

იაპონიის საელჩოს პეკინში პოლიცია იცავს. კვირას მას მოუწია, რამდენიმე ასეულ პროტესტანტს დაპირისპირებოდა. იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იოსიჰიკო ნოდამ განაცხადა, რომ ჩინეთმა უნდა მიიღოს რაიმე ზომები, რათა იაპონიის მოქალაქეებზე ძალადობა თავიდან აიცილონ და ხაზი გაუსვა, რომ მოცემულ სიტუაციაში ორივე ქვეყნის ხელისუფლებამ სიმშვიდე აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს. ჩინეთის ხელისუფლებამაც მოსახლეობას მოუწოდა, "პროტესტი მშვიდობიანად და კანონის დარღვევის გარეშე გამოხატონ."

დაძაბულობა ორ ქვეყანას შორის უკვე შეეხო მათ ეკონომიკურ ურთიერთობებს. იაპონურმა კომპანია-გიგანტმა "პანასონიკმა" ჩინეთში მუშაობა უკვე შეწყვიტა. კორპორაციის განცხადებით, მათი ქარხანა ქალაქ ცინდაოში, აღმოსავლეთ ჩინეთში არ იმუშავეს 18 სექტემბრამდე, მანამ, სანამ ისინი კარგად არ შეაფასებენ ჩინეთში მიმდინარე მოვლენებს, შემდეგ კი მიიღებენ გადაწყვეტილებას. გავრცელდა ინფორმაცია, რომ 18 სექტემბრამდე მუშაობა "კენონის" კომპანიამაც შეწყვიტა. თუმცა კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან ოფიციალური განცხადება ამის თაობაზე არ გაკეთებულა.

ანალიტიკოსთა განცხადებით, კუნძლების ირგვლივ დავა იაპონური კომპანიების მუშაობაზე ჩინეთში საკმაოდ ნეგატიურად იმოქმედებს. "სავსებით ნათელია, რომ საპროტესტო აქციები პირდაპირ მიმართულია იაპონურ მწარმოებელთა წინააღმდეგ," - განაცხადა ჩინეთის ბაზრის კვლევის ჯგუფის ექპერტმა შონ რეინმა. მისი განცხადებით, ანტიიაპონურმა გამოსვლებმა, შესაძლოა, ზოგიერთი იაპონური კომპანიის ჩინეთის ბაზრიდან გასვლა განაპირობოს.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრის ლეონ პანეტას განცხადებით, ტერიტორიულმა დავებმა აღმოსავლეთ აზიაში, შესაძლოა, სერიოზული კონფლიქტი გამოწვიოს იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში პროვოკაციები არ შემცირდება. "ან ერთი, ან მეორე მხრიდან შეცდომამ, შესაძლოა, ძალადობა გამოიწვიოს, რამაც შეიძლება, კონფლიქტამდე მიგვიყვანოს," - აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა ეს განცხადება ტოკიოში გააკეთა, სადაც ის მოსალაპარაკებლად ჩავიდა. იგი თავისი ტურნეს ფარგლებში ჩინეთსა და ახალ ზელანდიასაც ეწვევა.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ იაპონიის განცხადება კუნძულების შეყიდვის თაობაზე იყო პასუხი ტოკიოს ნაციონალისტი გუბერნატორის უფრო მეტად პროვოკაციულ გეგმაზე, რომელსაც სურდა, შეესყიდა კუნძულები და იქ იაპონელების ჩასახლება დაეწყო. დაპირისპირებას ორ ქვეყანა შორის ორივე ქვეყნის მედია უფრო მეტად ამწვავებს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ახლოვდება ხელისუფლების ცვლა ჩინეთში, ისევე როგორც არჩევნები იაპონიაში.

ირანი სირიას მხოლოდ "რჩევებით" ეხმარება

თამთა კახაძე

გუშინ ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ხელმძღვანელმა, გენერალმა მოჰამად ალი ჯაფარიმ განაცხადა, რომ სირიაში ქვეყნის ძალები მხოლოდ "მრჩევლის" ფუნქციას ასრულებდნენ. თუმცა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენლის თქმით, ქვეყანას სირიიდან ამ დროისათვის მსგავსი პერსონალიც გაწვეული ჰყავს.

გენერალ მოჰამედ ალი ჯაფარის განცხადებით, ქვეყნის სპეცდანიშნულების ძალებმა სირიასა და ლიბანში მოღვაწეობა შეწყვიტეს. გენერლის თქმით, ირანი სირიაში სამხედრო მოქმედებებში არ ერეოდა და მხოლოდ მრჩევლების ფუნქციას ასრულებდნენ. აღნიშნულის შესახებ ირანული სააგენტო "ფარსი" იტყობინება.

მისი თქმით, ირანის "ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის" წევრები, რომლებსაც ადრე ცოტა ხნით სირიასა და ლიბანში ყოფნა უწევდათ, არ მსახურობდნენ, როგორც სამხედროები. "მათი ამ ქვეყნებში ყოფნა გამოცდილებისა და ცოდნის გადაცემით იყო განპირობებული," - იუწყება ირანული სააგენტო.

ჯაფარიმ აღნიშნა, რომ, პირიქით, სირიის ოპოზიციურ ჯგუფებს სხვა სახელმწიფოები ეხმარებიან. "თუ სირიაზე თავდასხმას განახორციელებენ, ირანი, შეიძლება, საქმეში სამხედრო თვალსაზრისითაც ჩაერიოს. თუმცა ეს გადაწყვეტილება მთლიანად შექმნილ გარემოებაზე იქნება დამოკიდებული," - აღნიშნავს ჯაფარი.

ირანი ამ არაბული ქვეყნის საშინაო კოფლიქტის დროს ღიად უჭერს მხარს სირიის მმართველ რეჟიმს, რომლის წევრებიც შიიტების ერთ-ერთი ფრთის - ალავიტების წარმომადგენლები არიან. სააგენტო "ფარსი" კი ხაზს უსვამს, რომ "თეირანი მხოლოდ რჩევებს აძლევს და სულიერ მხარდაჭერას უცხადებს ბაშარ ალ-ასადის მთავრობას."

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელმა კვირას "სი-ენ-ენს" განუცხადა, რომ ამ დროისათვის სირიის ტერიტორიაზე არც ერთი ირანელი სამხედრო არ იმყოფება: "ჩვენ სირიის მთავრობასთან ისეთი ურთიერთობა გვაქვს, როგორიც რეგიონში ყველა სხვა დანარჩენ მეგობართან," - აღნიშნავს რამინ მეჰმანპარასტი.

გასულ კვირას ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ ირანი ასადის რეჟიმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა.

ადგილობრივი ოპოზიციური ჯგუფების ცნობით, მხოლოდ გუშინ სირიაში 167 ადამიანი დაიღუპა, აქედან 50 - დამასკოში.

სირიის ოფიციალური პირების განცხადებით, გუშინ მათ გაერო-ს გენერალურ მდივანს ბან კი მუნს წერილი გაუგზავნეს, სადაც თურქეთი ათასობით ტერორისტისათვის საზღვრების გახსნაში დაადანაშაულეს. თვით თურქეთში კი, ქალაქ ანტაკიაში (ჰატაის პროვინცია) გაიმართა "მუშათა პარტისა" და თურქეთის ახალგაზრდათა კავშირის მიერ ორგანიზებული აქცია თურქეთის ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ სირიის საკითხში. აქცია აკრძალული იყო და ამიტომ პოლიციამ მომიტინგეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. აქციის მონაწილეები მხარს სირიის მმართველ რეჟიმს უჭერდნენ. შეკრებილი იყო დაახლოებით 1500 ადამიანი.

გაერო-მ კი გუშინ აღიარა, რომ სირიაში მოიმატა უცხოელ შეიარაღებულ პირთა რიცხვმა, მათ შორის, ჯიჰადის მომხრეებმაც. ზოგი მათგანი ადგილობრივ ოპოზიციურ ჯგუფებს უერთდება, ზოგი კი "ავტონომიურად" მოქმედებს. ეს განაცხადა გაერო-ს მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის ხელმძღვანელმა პაულო პინეირომ. ის არის ბრაზილიელი ექსპერტი ადამიანის უფლებათა საკითხებში. ამავე კომისიამ შეადგინა სირიელ სამხედრო დამნაშავეთა სია (სიის ფიგურანტების ვინაობა არ გამოქვეყნებულა). მათ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოუწოდეს, ეს საქმეები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოსაძიებლად გადასცეს.

გუშინვე თავისი მოხსენება გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰიუმან რაითს ვოტჩმა". დოკუმენტის თანახმად, წამებასა და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დახვრეტას სასამართლო განაჩენის გარეშე მიმართავენ სირიის ოპოზიციის შეიარაღებული ჯგუფებიც, თუმცა, მათივე მონაცემებით, სირიის ხელისუფლება ადამიანის უფლებებს უფრო მასშტაბურად და სისტემატურად არღვევს.

ჯიბსონ ხუნდაძე - ეპოქა და ენერგია

სოფიო ნემსაძე



უკვე რამდენიმე დღეა, რაც ლიტერატურის მუზეუმში ცნობილი ქართველი მხატვრის ჯიბსონ ხუნდაძის პერსონალური გამოფენა მიმდინარეობს. ცხადია, რომ გამოფენა ავტორის ბიოგრაფიისა და ავტორიტეტულობის გამო დიდ ყურადღებას იპყრობს. თუმცა არის კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც გამოფენა ერთი-ორად მნიშვნელოვანია. საქმე ის არის, რომ გამოფენის მზადების პარალელურად მომზადდა და გამოიცა ჯიბსონ ხუნდაძის შემოქმედების სრულად მომცველი კატალოგი. კატალოგის გამომცემელი კომპანია მაგთიკომია."

XX-XXI საუკუნის ქართულ ხელოვნებაზე სრულფასოვანი წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია შესანიშნავი მხატვრის, კოლორისტიკის დიდოსტატის, საკუთარი ფერწერული სისტემის ავტორის - ჯიბსონ ხუნდაძის შემოქმედების გაცნობის გარეშე.

ჯიბსონ ხუნდაძის შემოქმედებითი გზა ძალზე საინტერესო და უჩვეულოა.

იგი დღესაც განაგრძობს ნამდვილი, უტყუარი ფერწერული ნიმუშების შექმნას.

მხატვრის აბსტრაქტული ტილოები აბსტრაქციონიზმის, იმპრესიონიზმისა და ექსპრესიონიზმის ნაზავს წარმოადგენს; უფრო კონკრეტულად კი, ეს არის იმპრესიონისტული განწყობით და ექსპრესიული მანერით შექმნილი აბსტრაქციები," - წერს კატალოგის წინასიტყვაობაში ხელოვნებათმცოდნე სამსონ ლეჟავა.

წიგნი, რომელიც მაგთიკომმა"ქართული სახვითი ხელოვნებით დაინტერესებულ საზოგადოებას აჩუქა, არ არის მხოლოდ ერთი გამოფენისთვის მომზადებული კატალოგი. ის უზარმაზარ ინფორმაციას მოიცავს, როგორც ვიზუალურს, ისე ტექსტუალურს და აქვს დამსახურებული ამბიცია, მოიცვას იმ მხატვრის ცხოვრებაცა და შემოქმედებაც, რომელიც არც სიმარტივით გამოირჩევა და არც სიმსუბუქით. პირიქით. შესაბამისად, ტექსტის ავტორის ამოცანაც მრავლისმომცველია. სამსონ ლეჟავაც გამოწვევის ადეკვატურია. ის საუბრობს ეპოქაზეც, მხატვრის ხასიათზე და მსოფლხედვაზე, მის ფორმებსა და იდეებზეც. ჯიბსონ ხუნდაზე 1926 წელს დაიბადა და 40-იან წლებში შემდგარი მხატვარი გახლდათ გამორჩეული ყველა იმ მახასიათებლით, რომლითაც მალევე ჩაეწერა მეოცე საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვანი ეტაპების ისტორიაში. ეს მახასითებლები კი იყო და არის დიდი ენერგიით შექმნილი უზარმაზარი ტილოები, ურთულესი კომპოზიციური გაშლები და საოცრად დრამატული აბსტრაქციები. თუმცა ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ ყველაფრის პარალელურად და უფრო სანყის ეტაპზე იქმნებოდა ბევრად ინტიმური ხასიათის პეიზაჟები, პორტრეტები... აღნიშნულ კატალოგში ყველაზე საინტერესო და დამთვალიერებლისთვის ძვირფასი აღმოჩენები ამ მრავალფეროვნებაში მდგომარეობს. კატალოგში ჯიბსონ ხუნდაძეს სხვადასხვა ჟანრსა და როლში ვხედავთ. მით უფრო, რომ ნამუშევრები საგულდაგულოდ არის დალაგებული წლებისა და პერიოდების მიხედვით. 40-იანი წლებიდან 2000-იან წლებამდე მოვდივართ და ხუნდაძის ენერგიის აფეთქებები უსისტემოდ ხშირი და ულევი გვეჩვენება.

ეპოქა, რომელიც მხატვრისთვის სასტარტო გახლდათ, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე რთულ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ 30-იანი წლების შემდგომ. სამსონ ლეჟავა სწორად აღნიშნავს, რომ სწორედ ხუნდაძის თაობას აქვს ღვაწლი 70-80-იანელთა შემოქმედებითი თავისუფლების" წინაშე. ჯიბსონ ხუნდაძის ცხოვრებაში ყველაფერი იყო. გამოფენიდან ჩამოხსნილი ნამუშევრებიც და დიდი და ყველასგან მოწონებული პროექტებიც. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხატვრის ბიოგრაფიისა და ხელოვნების გადათვალიერება პერიოდის ანალიზის ტოლფასია.

ბატონი ჯიბსონის თაყვანისმცემლებს და, ზოგადად, ხელოვნების მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ, კიდევ 10 დღის განმავლობაში უფრო ახლოს გაეცნონ მხატვრის შემოქმედებას.

რაც შეეხება წიგნის გამოცემის ინიციატორებსა და სპონსორებს. "მაგთიკომი" ამ პროექტით აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ ის ერთგულია თავისი ერთ-ერთი პრიორიტეტული ფასეულობის ამსახველი დევიზისა "ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ" და მუდმივად ცდილობს, საზოგადოებას სრულფასოვანი წარმოდგენა შეუქმნას თანამედროვე ქართველ მხატვრებზე. "მაგთიკომის" ხელშეწყობით უკვე გამოიცა ირაკლი ფარჯიანის, ედმონდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიშ თორდიას, მერაბ აბრამიშვილის, კოკი მახარაძის, დიმიტრი ერისთავის და ოთარ ჩხარტიშვილის ნამუშევართა ალბომები.

270 გვერდში ჩატეული მიხეილ კალატოზოვი

პირველი გვერდიდან

პროექტის ავტორი რეჟისორის შვილიშვილი, თეატრის მხატვარი ანა კალატოზიშვილი გახლავთ.

გამოცემა კალატოზოვის შვილიშვილს, ასევე რეჟისორს, სამი წლის წინ გარდაცვლილ მიხეილ კალატოზოვს ეძღვნება და მის შესახებ მცირე სტატიით იხსნება. როგორც პროექტის ავტორმა, მიხეილ კალატოზიშვილის დამ, ანა კალატოზიშვილმა გვითხრა, ამ წიგნის გამოცემა სწორედ უმცროსი კალატოზიშვილის იდეა ყოფილა, თუმცა უეცარი გარდაცვალების გამო მისი განხორციელება ვერ მოასწრო.

კრებული საკმაოდ შინაარსობრივი და მრავალფეროვანია. აქ შესულია მიხეილ კალატოზოვის ფილმოგრაფიის დეტალური აღწერა, სტატია ყველა წარმატებული ფილმის შესახებ, მისი და მის შესახებ მოგონებები, მათ შორის ძალიან ცნობილი ადამიანებისა. აქვეა უმცროსი მიხეილ კალატოზიშვილის მიერ აღებული ინტერვიუების ფრაგმენტები, რესპონდენტები კი ანდრეი კონჩალოვსკი, კლოდ ლელუში, ევგენი ევტუშენკო, სერგეი სოლოვიევი და სხვანი არიან. ისინი მიხეილ კალატოზოვს იხსენებენ არა მხოლოდ როგორც რეჟისორს, მსოფლიო კინემატოგრაფის უდიდეს წარმომადგენელს, არამედ როგორც მეგობარსაც. იხსენებენ მასთან ერთად გატარებულ პერიოდს. საინტერესოა კლოდ ლელუშის მოგონებები, რომელშიც არწერს, როგორ შეხვდა მიხეილ კალატოზოვს: ლელუში კანადური ტელევიზიის მიერ ორგანიზებულ კონკურსში იყო ჩართული, კონკურსი კი საბჭოთა კავშირის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღებას უთვალისწინებდა. ლელუში იხსენებს, რომ კინოსტუდია "მოსფილმში" აღმოჩენილმა საკუთარი თვალით ნახა, როგორ იღებდა კალატოზოვი თავის ყველაზე ცნობილ და წარმატებულ ფილმს "მიფრინავენ წეროები". მოგვიანებით სწორედ კლოდ ლელუშის ძალისმევით მოხერხდა "წეროების" კანის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში ჩართვა, 1958 წელს კი ფილმმა "ოქროს პალმის რტო" მოიპოვა.

ანა კალატოზიშვილი: "როდესაც მიხეილ კალატოზოვი გარდაიცვალა. მე 5 წლის ვიყავი, პრაქტიკულად არ მახსოვს, ამიტომ ამ პროექტზე მუშაობა ჩემთვის ბაბუჩემის გაცნობის საშუალებადაც იქცა. მას ძალიან საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა - ხან მწვერვალზე იყო, ხანაც - ფსკერზე, მაგრამ ყველა ერთნაირად ახასიათებს, იხსენებენ, რომ ნებისმიერ ვითარებაში იყო ძალიან თბილი, გულისხმიერი, დინჯი, ზოგჯერ სიტყვა ძუნწი ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი საქმე. ჩემთვის განსაკუთრებული აღმოჩნდა, მის მიერ მამაჩემისთვის მიწერილი წერილები, რომლებიც მკითხველს სულ სხვანაირ მიხეილ კალატოზოვს წარმოუდგენს."

270 გვერდიანი წიგნი ორენოვანია (რუსული და ინგლისური), ასევე შეიცავს ურიცხვ ფოტომასალას, მათ შორის, ოჯახის არქივიდან აღებულსაც. საინტერესოა ისიც, რომ გამოცემას ახლავს ფილმ "შამილის" სრული სცენარიც, რომლის გადაღების უფლება საბჭოთა ცენზურამ კალატოზოვს არ მისცა.

საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება

15 სექტემბერს ტელევიზიის ეთერით გავიდა სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბ ,"არმაზის" ორ მორაგბეს, ძმებ ჯიშკარიანებს. სიუჟეტში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მათ არ მიეცათ საქართველოს ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში მონაწილეობის უფლება, იმ მოტივით, რომ ისინი არიან ერთერთი პოლიტიკური პარტიის წევრები.

საქართველოს რაგბის კავშირი სწავლობს ამ ფაქტს. თუმცა კლუბ ,"არმაზის" ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძმები ჯიშკარიანები რჩებიან კლუბის წევრებად და აუცილებლად გააგრძელებენ კლუბში თამაშს.

ზოგადად კი ქართული სარაგბო თემის სახელით შეგვიძლია განვაცხადოთ შემდეგი: კატეგორიულად დაუშვებელია სპორტსმენების პოლიტიკური ნიშნით განსხვავება და ამის საფუძველზე მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლა, რადგანაც ეს საფუძველშივე ეწინააღმდეგება სპორტში დამკვიდრებულ პრინციპებს და სარაგბო ფასეულობებს.

საქართველო IRB-ში მეთხუთმეტეა

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ტრადიციულ ორშაბათის რეიტინგში 30 მონინავე გუნდს, გასული კვირის განმავლობაში სარეიტინგო ცვლილებები არ განუცდია.

მართალია, ახალმა ზელანდიამ სამხრეთ აფრიკას 21:11, ხოლო ავსტრალიამ არგენტინას 23:19 აჯობა, მაგრამ თამაშამდეც იმდენად დიდი იყო მათ შორის სარეიტინგო სხვაობა, რომ ყოველივეს ახალ რეიტინგზე გავლენა არ ჰქონია.

67,95 ქულით კვლავაც მე-15 ადგილზეა საქართველოს ნაკრები.

IRB მსოფლიო რეიტინგი 17 სექტემბრისთვის:

1 (1). ახალი ზელანდია....92,43
2 (2). ავსტრალია....86,62
3 (3). სამხრეთ აფრიკა....84,20
4 (4). ინგლისი....83,09
5 (5). საფრანგეთი....83,03
6 (6). უელსი....82,26
7 (7). ირლანდია....79,85
8 (8). არგენტინა....79,34
9 (9). შოტლანდია....77,97
10 (10). სამოა....76,23
11 (11). იტალია....76,03
12 (12). ტონგა....74,79
13 (13). კანადა....72,30
14 (14). ფიჯი....70,60
15 (15). საქართველო....67,95
16 (16). იაპონია....67,93
17 (17). აშშ....66,61
18 (18). რუმინეთი....64,54
19 (19). რუსეთი....62,05
20 (20). ესპანეთი....61,63
21 (21). ურუგვაი....61,13
22 (22). ნამიბია....59,24
23 (23). ბელგია....59,17
24 (24). ჩილე....58,32
25 (25). კორეა....56,72
26 (26). პორტუგალია....56,58
27 (27). ჰონკონგი....55,49
28 (28). პოლონეთი....55,19
29 (29). ზიმბაბვე....54,70
30 (30). უკრაინა....53,95

ჭანყი "რეალში"

ესპანურ მედიასაშუალებებში აქტიურად განიხილება მადრიდის "რეალში" შექმნილი არცთუ სასიამოვნო ვითარება. ყოველდღიურად იწერება ცნობები კლუბში არსებული კონფლიქტების შესახებ. El Periodico "სამეფო კლუბთან" დაახლოებულ პირზე დაყრდნობით წერს, რომ გუნდის თავკაც ჟოზე მოურინიოს შეგირდებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუუარესდა.

საქმე ისაა, რომ ფეხბურთელები ჟოზე მოურინიოს მუშაობით არიან უკმაყოფილონი. პორტუგალიელი სპეციალისტი ფეხბურთელებს დაჟინებით სთხოვს, არბიტრის მისამართით საყვედურების გამოთქმისას მას მხარი აუბან. ამავე წყაროზე დაყრდნობით თავად ფეხბურთელებსაც არ აქვთ ერთმანეთში სამაგალითო ურთიერთობა - გუნდი ორ ბანაკადაა დაყოფილი და ერთმანეთს არც კი ელაპარაკებიანო.

"სამეფო კლუბს", მიუხედავად ესპანეთის სუპერთასზე გამარჯვებისა, საშინელი სტარტი გამოუვიდა ეროვნულ ჩემპიონატში. მადრიდელები 4 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მე-14 ადგილზე იმყოფებიან და მხოლოდ ერთი მოგება აქვთ. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის პრიმერა დივიზიონის უკანასკნელ ტურში, მადრიდელები "სევილიასთან" დამარცხდნენ (0:1).

მესი რეკორდებს დასდევს

ესპანეთის პრიმერა დივიზიონის უკანასკნელ ტურში "ხეტაფესთან" გამარჯვების შემდეგ (4:1), კატალონიის "ბარსელონას" არგენტინელმა ვარსკვლავმა ლიონელ მესიმ, გარდა იმისა, რომ პირადი რეკორდი გაუუმჯობესა, ჩილელი ივან სამორანოს მიღწევაც გაიმეორა. "ხეტაფესთან" კატალონიელთა არგენტინელმა ვუნდერკინდმა დუბლი მიითვალა და გოლების მარაგიც უფრო გაზარდა.

მესის ერთ კალენდარულ წელიწადში 61 გოლი დაუგროვდა (52 "ბარსაში", 9 - არგენტინის ნაკრებში), რაც გასულ წელთან შედარებით, ერთი გოლით უკეთესი მაჩვენებელია. ამავდროულად, მესიმ ივან სამორანოს მიერ 1994-1995 წლების სეზონში დამყარებული რეკორდიც გაიმეორა - ესპანეთის პრიმერა დივიზიონის საწყის ოთხ ტურში, 6 გოლი მიითვალა.

MILLER TIME

ზურაბ თალაკვაძე

რეჯი მილერი

"მედისონ სკვერ გარდენში" რეჯი მილერმა თვალები დახუჭა, დალილავებულ თვალზე ოფლის წვეთმა ჩაირბინა, ლოყაზე ჩამოჯდა, მაჯაზე დაეცა. მილერი დარბაზის პულსს გრძნობს და მალე წუთშესვენება დამთავრდება. მწვრთნელები რაღაცებს ხაზავენ, სპაიკ ლი სტაფილოსფერ სათვალეს ტომაჰავკივით აქნევს და პატრიკ იუინგი ჯონი სტარქსის თვალებში შემდეგ წრეს, შემდეგ დონეს ხედავს. იუინგი დიდი ბიჭია. "ნიქსიც" დიდი გუნდია. სპაიკ ლი გეტოზე დიდი რეჟისორია და მთელ ამ ბანდას რეჯი მილერმა უნდა უპასუხოს. ერთი გამოხედვით მილერი კლავს იმედს და ბლოკიდან ამორბენის შემდეგ რეჯი იღებს ბურთს, ოდნავ უკან იხევს, ბურთს უშვებს და "მედისონ სკვერ გარდენში" ფერფლის წვიმა მოდის. მილერმა სამიანით "ნიქსის" ლტოლვა, მომავალი, წარსული დაწვა და დარბაზში შეპარულმა ნიავმა ფერფლი გაშალა, მილერის ფეხებთან დაუშვა. რეჯიმ ჩააგდო, "ინდიანამ" მოიგო, "ნიქსი" დაჭრილია და სისხლდენას ვერ აჩერებენ.

რეჯი მილერი ლიგის რენესანსის შვილია. მილერთან ერთად დევიდ სტერნის თეატრში როლებს იღებენ დევიდ ადმირალ რობინსონი, სკოტი პიპენი, კევინ ჯონსონი, ჰორას გრანტი, მარკ ჯექსონი, რეჯი ლიუისი. 1987, კარგი ბიჭების და ლეგენდების დრაფტი. ადმირალი სან ანტონიოს პოლ მაკარტნი გახდა. მარკ ჯექსონმა დაბოლილი ემუს სიარულით დაიწყო და დაამთავრა კარიერა. სკოტი პიპენი მაიკ ჯორდანის რობინი და "ბულზის" ფიქსატორი იყო. კევინ ჯონსონმა ნიჭის მცირე პროცენტი გამოიყენა და იმ ნიჭით ბევრი სხვა გამოიყენა. ბოლომდე გამოიყენა. რეჯი ლიუისი წავიდა. "სელტიქსის" კაპიტანი ერთ-ერთ ვარჯიშზე მივიდა და იქვე დარჩა. რეჯის გული გაჩერდა და ბოსტონელების გულებში დარჩა. რეჯი მილერი ინდიანაპოლისში ჩადის და ბიჭი "პეისერზის" ჯონი ქეშია. როგორც ჯონი ამბობდა, There ain't no grave can hold my body down. ჯონი თავისი და სხვისი ტკივილით ისვენებდა. მილერიც.

7 სექტემბერს რეჯი მილერი ნეისმითის დიდების დარბაზში შედის. ბოსებმა თითო ვისკი გადაჰკრეს, გაიზმორნენ და მილერი გაიხსენეს. დიდების დარბაზში ლარის უშნო ულვაში და მეჯიქის ჯადოსნური ღიმილია. დიდების დარბაზში მაიკლი ზევსის ეტლით შედის და იქვე ბილ რასელის მოგონებები ტილოს პიჯაკშია ჩაკუჭული. დიდების დარბაზში კარგი ბიჭები შედიან. რეჯი მილერი კარგი ცუდი ბიჭი იყო.

დიდების დარბაზშიც ისე შევა, როგორც იქვე, თამაშის დროს იქცეოდა. პოდიუმთან მისვლამდე რეჯი შეხედავს იუინგს და ღიმილით გადაულაპარაკებს, Pat, you're dead. რეჯი გაივლის მაიკლთან და ბავშვურად, შემთხვევით გაჰკრავს მხარს. რეჯი ჯო დუმარსის მეგობრებთან ჩამოჯდება, ერთ-ერთს ჩიზბურგერს გამოართმევს, ჩაკბეჩს და დაუბრუნებს. დიდების დარბაზამდე რეჯი მილერი ლარი ბერდს ნდობისთვის Thanx, man ეტყვის და მერე ის დაჟანგული კარიბჭე ჭრიალით გაიღება. ზემოთ, ნეისმითის დარბაზში, მილერის 18 სეზონი ახსოვთ. იქ რეჯის მეგობრების, "ინდიანას" გულშემატკივრების ემოცია აიტანეს და მილერის კარიერა რამდენიმე ტომში ჩაიწერა. რეჯის ემოციური საუნდტრეკი ისტორიული ფონით და ბევრი სამიანით. ლამაზი კოლაჟი გამოვიდა. რეჯის კარიერაც ლამაზი იყო. მილერმა 18 სეზონში ვერ მოიგო სუპერფინალი და სუპერფინალი სხვა კარგმა ბიჭებმაც ვერ მოიგეს. პატრიკ იუინგი ერთხელ გადის ბოლო დონეზე და აგებს კალათბურთის ბარიშნიკოვთან, ჰაკიმ ოლაჯუონთან. კარლ მელოუნს ორი ფინალი მაიკლმა, სკოტიმ და დენის როდმანმა წაართვეს. ჩარლზ ბარკლიმ "ფინიქსში", კევინ ჯონსონთან ერთად გაქაჩა ბოლო სერიამდე და იმ სერიაშიც ჯორდანმა იცელქა. მაიკლი საერთოდ მაგარი ცელქი იყო. ცელქი და მოუსვენარი ლეგენდა, რომელმაც რეჯი მილერის ოცნებასაც ყური აუწია.

მილერში უფრო ბროდვეის მოხეტიალე მსახიობის შარმია, ვიდრე ჰოლივუდური ეპატაჟი. მილერი უფრო პროვინციალი გენიოსია, ვიდრე ანგელოზების ქალაქის დაღლილი და ბევრღაბაბიანი მილიონერი. რეჯი მილერმა ინდიანაპოლისში პატარა აუზი აავსო და იმ აუზში წყალს ხშირად არ ცვლიდნენ. იმ აუზში მილერის ლეგენდა თითო წვეთით ივსებოდა და იმ აუზში ბევრი ჩავიდა. Miller Time.

რეჯის დაიკო, შერილი, უფრო ადრე გახდა პოპულარული და მერე რეჯიმ აკრიფა. მილერი ჩადის სან ანტონიოში და მტვრიანი კოვბოები დარბაზის შესასვლელთან რეჯის მაგნუმებით "უპადიეზდებენ". რეჯი ჩადის დეტროიტში და "პისტონზის" ბოსები მილერის ფოტოებს ყველა მიჩიგანელ დაქირავებულ მკვლელს აძლევენ - მიდით, მიხედეთ და პატივისცემა ჩვენზე იყოსო. რეჯი ჩადის ბოსტონში და "სელტიქსი" მოძრავ შუთერს ახსენებს, რომ ეს ბოსტონია. იქ ლარიმ, ბილმა, ბობიმ და კევინმა დაისვენეს. "სელტიქსი" მწვანე სამოთხეა და რეჯის იქ ჩასვლა სიამოვნებს. ბოსტონში ჩასვლა ყველას სიამოვნებს. ადგილი, დარბაზი, სადაც მოგონებები ცოცხლდება და ბევრს იხსენებენ. რეჯიმ ბოსტონში სისხლი, რეჯის ნაწილი და ემოცია დატოვა.

ნიუ იორკში სხვა მილერი იყო. 1995. რეჯიმ 8.9 წამში 8 ქულა დასვა და "ინდიანამ" "ნიქსს" თამაში წაართვა. რეჯიმ იუინგის ბანდას აარტყა.

1994. 25 ქულა ერთ მეოთხედში. რეჯიმ "ნიქსს" ისევ აარტყა.

იმ ორი გასროლით მისტერ მილერმა ნეისმითის დარბაზის ბილეთი აიღო.

"მედისონ სკვერ გარდენში" რეჯი მილერმა თვალები დახუჭა, დალილავებულ თვალზე ოფლის წვეთმა ჩაირბინა, ლოყაზე ჩამოჯდა, მაჯაზე დაეცა. მილერი დარბაზის პულსს გრძნობს და მალე წუთშესვენება დამთავრდება. მწვრთნელები რაღაცებს ხაზავენ, სპაიკ ლი სტაფილოსფერ სათვალეს ტომაჰავკივით აქნევს და პატრიკ იუინგი ჯონი სტარქსის თვალებში შემდეგ წრეს, შემდეგ დონეს ხედავს. იუინგი დიდი ბიჭია. "ნიქსიც" დიდი გუნდია. სპაიკ ლი გეტოზე დიდი რეჟისორია და მთელ ამ ბანდას რეჯი მილერმა უნდა უპასუხოს. ერთი გამოხედვით მილერი კლავს იმედს და ბლოკიდან ამორბენის შემდეგ რეჯი იღებს ბურთს, ოდნავ უკან იხევს, ბურთს უშვებს და "მედისონ სკვერ გარდენში" ფერფლის წვიმა მოდის. მილერმა სამიანით "ნიქსის" ლტოლვა, მომავალი, წარსული დაწვა და დარბაზში შეპარულმა ნიავმა ფერფლი გაშალა, მილერის ფეხებთან დაუშვა.

იმ მომენტში "ნიქსის" გულშემატკივარი ფიქრობს, რომ ეზიზღება მილერი და პატივს სცემს დიდ კაცს. რეჯიმ ეს დაიმსახურა. სიყვარული და სიძულვილიც.

მისტერ მილერი დიდების დარბაზის დიდი ბიჭია.

ნიმე სერიულმა მკვლელმა. რეჯიც სერიული, დაქირავებული მასტი იყო. საქმეს სწრაფად და გემოვნებით აკეთებდა. "ინდიანამ" მსუყე 18 სეზონი მიიღო.

მილერმა ფლეი-ოფში 320 სამაინი ჩასვა. ყველაზე ბევრია.

მილერმა რეგულარულში 2 560 სამიანი დააგროვა. რეკორდი შარშან რეი ალენმა მოხსნა. ალენიც მილერია. ცოტა სხვანაირი, ცოტა მშვიდი და თითქმის მილერი. რეჯი უფრო სერიოზული ტიპია. ყველა ამბავში.

მილერმა ინდიანაპოლისის "მარქეთ სქვეარ არენაზე" დაიწყო თამაში და მერე "პეისერზი" "კონსეკო ფილდჰაუზში" გადავიდა. რეჯიმ ორივე დარბაზში პატარა დახლი დადგა და იქიდან სნაიპერობა დაიწყო. მისტერ მილერი მისტერ ქილერი გახდა.

დრო გადის და რაღაცები არ იცვლება. რეჯი მილერი ლიგის რენესანსის შვილია. 1987, კარგი ბიჭების და ლეგენდების დრაფტი. მილერი "ინდიანამ" პირველ წრეში მეთერთმეტე ნომრად აირჩია. რეჯი ბევრ ქალაქში ჩადის და ერთ ქალაქში სხვა, უფრო ემოციური მილერია. ნიუ იორკი რეჯის კოლიზეუმი, ლა სკალა იყო. ნიუ იორკში "მედისონ სკვერ გარდენია".

... რეჯი მილერმა ინდიანაპოლისში პატარა აუზი აავსო და იმ აუზში წყალს ხშირად არ ცვლიდნენ. იმ აუზში მილერის ლეგენდა თითო წვეთით ივსებოდა და იმ აუზში ბევრი ჩავიდა. Miller Time.

"მედისონ სკვერ გარდენში" რეჯი მილერი იცვლებოდა.

ნიუ იორკში სხვა მილერი იყო. 1995. რეჯიმ 8.9 წამში 8 ქულა დასვა და "ინდიანამ" "ნიქსს" თამაში წაართვა. რეჯიმ იუინგის ბანდას აარტყა.

1994. 25 ქულა ერთ მეოთხედში. რეჯიმ "ნიქსს" ისევ აარტყა.

იმ ორი გასროლით მისტერ მილერმა ნეისმითის დარბაზის ბილეთი აიღო.

იმ ორი გასროლით მილერი "ნიქსის" ზიზღს, ბოღმას, ნეგატივს აგროვებს. და ამით მაგარ მუღამს იჭერს. რეჯი შეიცვალა და მილერმა დიდი ვაშლის გუნდი შიგნიდან გამოალპო. მილერმა ნიუ იორკში ემფაირ სთეით ბილდინგიდან გადმოაფურთხა. დიდი "წადი შენი" მთელ ნიუ იორკს და მილერის ავტოგრაფი "ნიქსის" ოჯახს.

ფლეი-ოფში რეჯი იცვლება. ფლეი-ოფში მილერი არ არის ერთჯერადი მსროლელი, რომელიც გამთამაშებლის ინტელექტზე ან ცენტრის პასზეა დამოკიდებული. ფლეი-ოფში მილერი არის "პეისერზის" პირველი, მეორე, მესამე ნომერი. რეჯი დგება ყველგან, საიდანაც მეორე გუნდს ატკენს. მილერმა "ინდიანას" სითბო დაუტოვა. და სითბო მიიღო. მილერმა გუნდს 25 279 ქულა აჩუქა. ბევრია. რეჯიზე მეტი ტესტი ერთ გუნდში მხოლოდ კარლ მელოუნმა ჩააბარა. და ჯონ სტოქტონმა. მერე მილერი ზის. ერთ გუნდში დაიწყო და დახურა ამბები ლარი ბერდმა, მეჯიქ ჯონსონმა, ადმირალ რობინსონმა, მაგარმა ბეისბოლისტმა კოლ რიპკენმა და კიდევ რამდენ-

ტატიშვილი საუკეთესო მაჩვენებელს ინარჩუნებს

პირველი გვერდიდან

მიმდინარე კვირაში ქართველ ჩოგბურთელთა საკმაოდ დიდ წარმომადგენლობას ბათუმის 15-ათასიან ტურნირზე ელიან. თუ არაფერი შეიცვალა, ბათუმის კორტებზე ერთბაშად 14 ქართველ გოგონას - სოფო ქვაცაბაიას, ეკატერინე გორგოძეს, ნათია გეგიას, ანი გოგვაძეს, ბარბარე ერისთავს, მარიამ გოგელაშვილს, ბაბილინა მაჩაიძეს, თამარ ჭალაგანიძეს, თამარ ცხაკაიას, ლანა როსტიაშვილს, კლეოპატრა ქარუმაშვილს, მარგალიტა ჩიჩაშვილს, ანა დობორჯგინიძეს და მარიამ ბოლქვაძეს ვიხილავთ.

საფრანგეთში რჩება მაკა ჩახნაშვილი, რომელიც ამჯერად სენ მალოს 25-ათასიან ტურნირში ჩაებმება. პირველ რაუნდში მაკას მეტოქე მე-6 ნომრად განთესილი ბელგიელი ელისონ ვან უიტვანკი იქნება. ყაზახეთის ქალაქ შიმკენტში გამოჩნდა ოქსანა კალაშნიკოვა, რომელიც საწყის წრეში ასევე მე-6 რეიტინგის მქონე პოლონელ იუსტინა იეგიოლკას გაეჯიბრება.

WTA-ს კლასიფიკაციაში უკვე მეორე კვირაა საქართველოს მე-2 ჩოგნის სტატუსს ინარჩუნებს სოფო შაფათავა, განსაკუთრებული ცვლილებები კი არცერთ ქართველს შეხებია. ცვლილებები არც მოწინავეთა ათეულშია.

ყველაზე დიდი ნახტომი ვინც ამავე კლასიფიკაციაში განიცადა ეს ბელგიელი კირსტენ ფლიპკენსია, რომელიც კვებეკის ტურნირის მოგებით ერთბაშად 33 ადგილით დაწინაურდა და 102 საფეხურიდან 69-ზე აბარგდა. აქამდე მის საუკეთესო მაჩვენებელს 2010 წელტან მივყავართ, როდესაც 59-ე იყო.

ტატიშვილი 1210 ქულით კვლავ 52-ე ადგილზეა

26 წლის ფლიპკენსმა კვებეკის ტურნირის ფინალში ჩეხ ლუცია ჰრადეცკას 6:1, 7:5 სძლია და კარიერის პირველ ტიტულსაც გაუსინჯა გემო. ისიც ვთქვათ, რომ ბელგიელს ერთეულთა თუ წყვილთა თანრიგში WTA ტურნირების ფინალში არასდროს უთამაშია

WTA რეიტინგი:

1 (1). ვიკტორია აზარენკო (ბელო).....10265
2 (2). მარია შარაპოვა (რუსეთი) 8435
3 (3). აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) ..8295
4 (4). სერენა უილიამსი (აშშ) 7900
5 (5). პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 6690
6 (6). ანგელიკა კერბერი (გერმანია) 5085
7 (7). სარა ერანი (იტალია) 4755
8 (8). ლი ნა (ჩინეთი) 4526
9 (9). სამანტა სტოსური (ავსტრალია) ...4200
10 (10). მარიონ ბარტოლი (საფრ).....3800

...52 (52). ანა ტატიშვილი - 1210; 290 (298). სოფო შაფათავა - 173; 319 (307). მაკა ჩახნაშვილი - 148; 369 (388). სოფო ქვაცაბაია - 111; 471 (471). ეკატერინე გორგოძე - 67; 608 (611). ნათია გეგია - 41; 617 (622). თათია მიქაძე - 39; 660 (674). ოქსანა კალაშნიკოვა - 33; 952 (957). ანი გოგვაძე - 11; 1070 (1077). თამარ ჭალაგანიძე - 6;

გატეხილი ჩოგნები და საჩოგბურთო ემოციები

ნატა დავიდოვა

დრო, როდესაც ჩოგბურთი იყო განწონასწორებული ვიქტორიანული ჯენტლმენების თამაში, რომლებიც ბოდიშს იხდიდნენ გაფუჭებული მოწოდების გამო, ისტორიას ჩაბარდა. დღეს საჩოგბურთო ამბებში მოდაშია სახელი, რეიტინგული ქულები და, ალბათ, ყველაზე მთავარი - დიდი ფული.

სხვა ყველაფერთან ერთად, ჩოგბურთის სპეციფიკა არ იძლევა ემოციების რეგულარული და აქტიური გამოხატვის საშუალებას. ემოციები კი ხანდახან ზომაზე მეტია. უხერხული დარტყმის შემდეგ ვინმეზე ჯავრის ამოყრა არ შეიძლება - ამან შეიძლება გამოიწვიოს დისკვალიფიკაცია და გაკიცხვა საზოგადოების მხრიდან. მაგალითად, დევიდ ნალბანდიანმა მშვენივრად იცის, რით შეიძლება ეს დასრულდეს. ამავე დროს, ვის ან რას შეიძლება დააბრალოს მოთამაშემ, თუ თამაში არ გამოსდის? მხოლოდ საკუთარ თავს და ჩოგანს, რომელიც ხელში უჭირავს. ამიტომაცაა, რომ ჩოგბურთელის შრომის ეს უბრალი იარაღი ხშირად ზარალდება ვარსკვლავების ემოციების გამოხატვის შედეგად.

ზოგჯერ ეს ემოციური აფეთქებები საქმეს შველის, ზოგჯერ - არა. ხანდახან ამის შედეგად ზარალდება თვითონ სპორტსმენი, რომელმაც ჩოგანი გატეხა(ყველაფერი ხდება. ყველაზე ეფექტურ შემთხვევებს კი ისტორია ინახავს.

7. ენდი როდიკი (აშშ) - ფლავიო ჩიპოლა (იტალია) 2011. Mutua Madrid Open (მადრიდი), პირველი რაუნდი.

ანგარიში ემოციური აფეთქების მომენტისთვის: 4:6, 7:6(7), 0:1.

სახელგანთქმული ამერიკელი არასდროს ყოფილა გრუნტზე თამაშის დიდოსტატი, თუმცა ყველა დარწმუნებული იყო, რომ მადრიდის "მასტერსის" სტარტზე მეთორმეტე ნომრად განთესილი ამერიკელი ადვილად დაამარცხებდა ფლავიო ჩიპოლას. როდიკმა წააგო პირველი სეტი, გააფთრებულ ბრძოლაში მოიგო მეორე, მაგრამ მესამე სეტის დასაწყისში მეტოქეს შესაძლებლობა მისცა გაეკეთებინა ბრეიქი.

მწყობრიდან გამოსულმა ენდიმ გატეხა ჩოგანი, მოისმინა მსაჯის გაფრთხილება და შემდეგ, კიდევ უფრო გამწარებულმა, ჩოგანს ბოლო მოუღო საკუთარ სავარძელზე.

შედეგი: აფეთქებამ შედეგი არ გამოიღო; ეს ბრეიქი გახდა მატჩში გადამწყვეტი. ჩიპოლამ არ დათმო თავისი გეიმები და თამაში მოულოდნელი გამარჯვებით დაასრულა.

6. კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) - ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია). 2009. Monte-Carlo Rolex Masters (მონტე-კარლო), პირველი რაუნდი

ანგარიში ემოციური აფეთქების მომენტისთვის: 4:6, 7:6(4), 4:4

ბელგიელი კვალიფაიერი თავგანწირვით და თითქმის თანაბრად ებრძოდა სახელოვან ხორვატს. მესამე სეტში, როდესაც ანგარიში იყო 4:4, ლუბიჩიჩმა, როგორც იქნა, მოიპოვა ბრეიქ-პოინტი. მისი გათამაშებისას მეტოქეები დადხანს ფრთხილობდნენ, სანამ სავსებით უწყინარ სიტუაციაში ბელგიელმა ბურთი აუტში არ დაარტყა.

მთელი ბოღმა კრისტოფმა ამოანთხია ჩოგანზე, რომელიც სამი დარტყმით გაანადგურა.

შედეგი: ბრეიქზე ლუბიჩიჩმა მშვიდად შეინარჩუნა მოწოდება და მოიგო მატჩი. საბოლოოდ ხორვატი მივიდა მეოთხედფინალამდე, სადაც შეხვდა რაფაელ ნადალს. მატჩის შედეგი ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

5. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) - ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბია). 2009. Sony Ericsson Open (მაიამი), ნახევარფინალი

ანგარიში ემოციური მომენტისთვის: 6:3, 2:6, 0:2 .

ხანდახან მშვიდ და აუღელვებელ ფედერერსაც ღალატობს ნერვები: მაგალითად, მაიამის "მასტერსის" ნახევარფინალში, როდესაც ჯოკოვიჩს მისცა შესაძლებლობა ჯერ გაეთანაბრებინა ანგარიში, შემდეგ კი, მესამე პარტიაში, გაეკეთებინა ბრეიქი. 30:0 ანგარიშის დროს, სერბის მოწოდებაზე, როჯერმა უკანა ხაზზე დაახვევინა მეტოქეს, შემდეგ კი - ბანალური შეცდომა და უძლიერესად დარტყმული ბურთი პირდაპირ ბადისკენ გაგზავნა.

ვერაფერს იტყვი, ნერვული აფეთქებისგან უდიდესებიც არ არიან დაზღვეული.

შედეგი: ჯოკოვიჩმა მოიგო მესამე სეტი ანგარიშით 6:3 და გავიდა ფინალში, სადაც დამარცხდა ენდი მარისთან.

4. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) - ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი). 2008. Sony Ericsson Open (მაიამი), მესამე რაუნდი

ანგარიში ემოციური აფეთქების მომენტისთვის: 7:6(4), 3:6, 4:5.

ერთი წლით ადრე მაიამიში სხვა დრამა გათამაშდა. მიხაილ იუჟნი დიდხანს ებრძოდა ესპანელ ნიკოლას ალმაგროს და მესამე სეტში, როდესაც ანგარიში იყო 4:5 არა მის სასარგებლოდ, დაიმსახურა ბრეიქ-პოინტი. მეტოქეები თამაშობდნენ ფრთხილად, მაგრამ სრულიად უწყინარ სიტუაციაში მიხაილის დარტყმული ბურთი ბადეში გაეხვია.

ენდი როდიკიც ნერვებზე იყო

შეცდომისგან გამწარება იმდენად დიდი იყო, რომ იუჟნიმ თავი დაუშინა ჩოგანს. ჩოგანმა გაუძლო, ხოლო ჩოგბურთელმა მიიღო დასანანი ტრავმა - გასისხლიანებული მიხაილის სურათმა მოიარა მთელი მსოფლიო და მყისიერად აქცია ის You Tube-ს ვარსკვლავად.

შედეგი: აფეთქებამ შედეგი გამოიღო. იუჟნიმ მაინც აიღო ესპანელის მოწოდება, ხოლო ტაი-ბრეიქზე მოიპოვა ნანატრი გამარჯვებაც; მეოთხე რაუნდში ის მოულოდნელად დამარცხდა იმ დროისთვის არცთუ ისე ცნობილ სერბ იანკო ტიპსარევიჩთან.

3. მარატ საფინი (რუსეთი) - ბენჟამენ ბეკერი (შვეიცარია). 2007. Australian Open (მელბურნი), პირველი რაუნდი

ანგარიში ემოციური აფეთქების დროს 5:7, 7:6(2), 3:5.

საინტერესოა, რომ ჩოგნების მტვრევის აღიარებული "მეფე" ამ რეიტინგში არ იკავებს პირველ პოზიციას. როგორც იტყვიან, რუსი ლიდერობდა არა ხარისხით, არამედ რაოდენობით - თავისივე აღიარებით, კარიერის განმავლობაში მას გატეხილი აქვს 700-ზე მეტი ჩოგანი.

2007 წლის პირველი "მეიჯორის" სტარტზე მარატს შეექმნა პრობლემები არცთუ ისე ცნობილ გერმანელთან, ბენჟამენ ბეკერთან. რუსმა წააგო პირველი სეტი, გაჭირვებით მოიგო მეორე, მაგრამ მესამეში გერმანელი ისევ დაწინაურდა და ბევრი აღარ აკლდა სეტის მოგებამდე.

მორიგი გათამაშების წაგების შემდეგ საფინმა ეფექტურად, პირველივე დარტყმით გადატეხა ჩოგანი კორტზე და მიიღო დამსახურებული გაფრთხილება. დარტყმის ძალა ისეთი იყო, რომ გატეხილი ჩოგანი ჩოგბურთელის სიმაღლეზე ახტა.

შედეგი: მესამე სეტის წაგების შემდეგ საფინმა ძალა მოიკრიბა, მოიგო შემდეგი ორი სეტი და მატჩი, თუმცა ეს ტურნირი მისთვის უიღბლო აღმოჩნდა - მესამე რაუნდში, უაღრესად მწვავე ბრძოლაში, დამარცხდა ენდი როდიკთან.

2. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) - სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია). 2012. Australian Open (მელბურნი), მეორე რაუნდი

ანგარიში ემოციური მომენტისთვის: 6:7(3), 4:6.

და ისევ მელბურნი. კოლორიტულმა კვიპროსელმა მეორე რაუნდში, წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დათმო პირველი ორი სეტი შვეიცარიელ სტანისლავ ვავრინკასთან. უკმაყოფილო საკუთარი თავით, მოწინააღმდეგით, მსაჯით (რომელმაც რამდენჯერმე მიიღო საკამათო გადაწყვეტილება) და ალბათ მთელი სამყაროთი, სეტებს შორის შესვენების დროს მარკოსი ჩაჯდა საკუთარ სავარძელში და უდანაშაულო ჩოგანზე იყარა ჯავრი.

როდესაც შეამჩნია, რომ მისმა საქციელმა მაყურებლის ყურადღება მიიქცია, ბაღდატისი განრისხდა და ზედიზედ გატეხა თავისი ოთხივე ჩოგანი. მანამდე ეს არავის გაუკეთებია. თუმცა, ჩოგნების დამტვრევა საკმაოდ გაუჭირდა - ესეც მშვენიერი რეკლამა ინვენტარის მწარმოებელთათვის.

შედეგი: დროებითი ეფექტი; მარკოსმა მოიგო შემდეგი სეტი, მაგრამ დათმო მეოთხე ანგარიშით 1:6 და დატოვა ტურნირი.

1. ვერა ზვონარევა (რუსეთი) - სამანტა სტოსური (ავსტრალია). 2010. Family Circle Cup (ჩარლსტონი), ფინალი

ანგარიში ემოციური აფეთქების მომენტისთვის: 0:6, 0:3.

ამ აღლუმის მონაწილე ერთადერთი ქალი, პირველი ადგილის მფლობელი. ვერა ზვონარევამ მიაღწია ფინალს ტურნირზე ჩარლსტონში და აქ ემსხვერპლა გრუნტის კორტებზე ყოველთვის ბრწყინვალედ მოთამაშე სამანტა სტოსურს.

იმ დღეს რუსს თამაში აშკარად არ გამოსდიოდა. მორიგი ორმაგი შეცდომის შემდეგ, ვერამ ჩოგანზე იყარა ჯავრი - ჩოგანი ჯერ კორტს დაალეწა, შემდეგ კი, როცა ახალი აიღო, მიიღო გაფრთხილება. "დამნაშავე" კი ფეხით შეაგდო სავარძლის ქვეშ.

შედეგი: ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს საქციელი დაეხმარა მას "დაბრუნებოდა თამაშს", თუმცა მატჩი ანგარიშით 6:0, 6:3 მოიგო სტოსურმა.

ის სეზონი ორივე ჩოგბურთელისთვის წარმატებული იყო. სამანტამ მიაღწია "როლან გაროსის" ფინალს, ხოლო ვერამ ითამაშა გადამწყვეტი მატჩები უიმბლდონსა და US Open-ზე. ეტყობა, ჩოგნების მსხვერპლად შეწირვას ზოგჯერ შედეგი მოაქვს.

ლაბრადორმა დუდუს განრიგი შეცვალა

პირველი გვერდიდან

"ტულონამდე" კი ჯერ იყო "აკადემია" "ლელო" და "მონპელიე". გასულ ტურში დუდუმ მუხლი იტკინა და მოედანი დროზე ადრე დატოვა. ჩვენ ტულონის ქართველ ლეგიონერს საფრანგეთში შევეხმიანეთ და ეს პატარა ინტერვიუ ჩამოვართვით.

როგორ ხარ, ფეხი როგორ გაქვს?

სერიოზულ დაზიანებს გადავრჩი, მყესები გაწყვეტილი არ არის თუმცა სრული რეაბილიტაციისთვის ალბათ ერთი თვე დამჭირდება. დასანანია მინიმუმ ოთხი მატჩის გამოტოვება მომიწევს.

რა ასაკში და სად დაიწყე რაგბის თამაში?

12 წლის ვიყავი როცა ,,აკადემიის" გუნდში მივედი სავარჯიშოდ. გია ღლონტი, პაატა ნარიმანაშვილი და გია კუბლაშვილი გვავარჯიშებდნენ. "აკადემია" ვაკეში ვარჯიშობდა მე მუხიანში ვცხოვრობდი და სავარჯიშოდ საკმაოდ შორს მიწევდა სიარული, ამიტომ გადავწყვიტე სახლთან უფრო ახლოს მომეძებნა გუნდი და ასეთი "ლელო" აღმოჩნდა. "აკადემიაში" ერთი თვე ვიარე და შემდეგ ლელოში გადავედი. ბათუ კევლიშვილი გვავარჯიშებდა და შემდეგ ლევან მაისაშვილი. ლევანმა ჩემ მორაგბედ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა, ფაქტობრივად მისი გაზრდილი ვარ. შემდეგ მოვხვდი საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში, 2008 წელს კი დებიუტი მქონდა ეროვნულ გუნდში პორტუგალიის წინააღმდეგ. დაუვიწყარი გრძნობაა.

მეხუთე წელია საფრანგეთში ხარ როგორ შეეჩვიე?

პირველი წელი ვიყავი "მონპელიეში" მამუკა გორგოძესთან ერთად. 2008 წლიდან "ტულონში" ვარ და თავს კარგად ვგრძნობ. თავიდან ცოტა გამიჭირდა თუმცა მთავარი სირთულეები უკვე გადავლახე. ენის ბარიერიც აღარ მაქვს და აქაურობასაც შევეჩვიე. სამხრეთელები თბილი ხალხია, თან რაგბი ძალიან პოპულარულია და მოთამაშეები და გულშემატკივრები ეთმანეთს დიდ პატივს სცემენ.

როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

დილით ადრე 06:30 ვიღვიძებ ადრე უფრო გვიან ვიღვიძებდი თუმცა ეხლა 7 თვის ლაბრადორი მყავს და ამიტომ ადრე ადგომა მიწევს. უნდა ვაჭამო და გავასეირნო. 8:00 უკვე ბაზაზე ვარ, ფიზიკურად ვვარჯიშობ, შერკინება და ხაზი დილის ვარჯიშზე გაყოფილები ვართ. დაახლოვებით 11:00 სახლში ვბრუნდები, ვჭამ და ვისვენებ, რის შემდეგაც ექვს ან შვიდ საათზე ისევ სავარჯიშოდ მივდივარ. ამჯერად მთელი გუნდი ერთად ვვარჯიშობთ. ჯერ ვიდეო ანალიზია, შემდეგ იწყება უკვე ერთობლივი ვარჯიში რომელიც რვა საათისთვის მთავრდება და ვბრუნდები სახლში. ორშაბათი და სამშაბათი ყველაზე დატვირთული დღეებია. ოთხშაბათს და კვირას გუნდი ისვენებს, თუმცა მე ცოტას ჩემთვის მაინც ვვარჯიშობ. კვირა დღეს ძირითადად ლევან ჩილაჩავა და კოტე მიქაუტაძესთან ერთად ვატარებ.

ტულონში სად ცხოვრობ და რა კრიტერიუმებით შეარჩიე სახლი?

გამომდინარე იქიდან, რომ დღეში ორჯერ ვვარჯიშობ პირველ რიგში მინდოდა, რომ სტადიონთან ახლოს მეცხოვრა, დაახლოვებით 10 წუთი მჭირდება სახლიდან სტადიონამდე და ცოტა მეტი ზღვამდე. კარგი უბანია, წყნარი, მეზობლებიც კარგი მყავს. გვერდში მიდგანან. ორი წლის წინ თამაშზე მივდიოდი, მანქანაში ჩავჯექი და არ დაიქოქა, რაღაც ჰქონდა გაფუჭებული, მეზობელმა ხანში შესულმა ქალმა დამინახა როგორ ვეწვალებოდი, მოვიდა და სტადიონზე თავისი მანქანით წამიყვანა.

ტულონი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ბევრი ვარსკვლავი თამაშობს?

ამ ოთხი წლის განმავლობაში ძალიან ძლიერი გუნდი ჩამოყალიბდა. ვარსკვლავები ადრეც იყვნენ და ახლაც არიან, თუმცა ყველაზე კარგი ის არის, რომ გუნდში ვინმეს ვარსკვლავობა საერთოდ არ იგრძნობა, ყველანი თანასწორები ვართ, ერთმანეთს ვეხმარებით, ვმეგობრობთ და ერთ დიდ ოჯახად ჩამოვყალიბდით. თამაშის შემდეგ თითქმის მთელი გუნდი ერთად მივდივართ კლუბში ძირითადად La Plage-ში და ერთად ვერთობით. მე ამ ბოლო დროს იშვიათად დავდივარ უფრო წყნარი ცხოვრების სტილი მაქვს არჩეული და დროის უმეტესობას ვარჯიშს და დასვენებას ვუთმობ.

ტულონის წინსვლა მას შემდეგ დაიწყო რაც კლუბის პრეზიდენტად მურად ბუჯელალი მოვიდა?

საინტერესო ადამიანია. საკმაოდ კარგი დამოკიდებულება აქვს მოთამაშეებთან. მთელ ყურადღებას კლუბს უთმობს და შედეგისთვის ძალისხმევას არ იშურებს. ყოველთვის გუნდთან ერთად არის, თამაშზეც და ვარჯიშზეც. მატჩის დროს მოედანზე, სათადარიგო მორაგბეებთან ერთად არის და ემოციურად გულშემატკივრობს.

გუნდს სათავეში ბერნარ ლაპორტი უდგას, საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი და ქვეყნის სპორტის მინისტრი?

პიროვნულად საკამოდ რთული ადამიანია. უყვარს ემოციების ხმამაღლა გამოხატვა, ხშირად ყვირის და ჩხუბობს, როცა რაღაც არ გამოდის შეიძლება ვარჯიში გვიანობამდე გააგრძელოს, ყოფილა შემთხვევები ვარჯიში ცხრა, ათის ნახევრამდეც გაგრძელებულა, იქამდე სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევდა, ან თამაშის წინა დღეს სრული კონტაქტით გვითამაშია ერთმანეთში. ამ ყველაფრის მიუხედავად ძალიან ძლიერი მწვრთნელია დიდი გამოცდილება აქვს და მოთამაშეებიც ვენდობით.

ტულონთან კიდევ რამდენი ხანი გაქვს კონტაქტი?

კიდევ ორი წელი და პლიუს ერთი მოიაზრება კიდევ, გააჩნია როგორ ვითამაშებ. სიმართლე გითხრათ ტულონში თავს კარგად ვგრძნობ და სხვაგან წასვლაზე ჯერ არ ვფიქრობ.

რაც სეზონი დაიწყო სულ ძირითადში ხარ?

მსოფლიო თასის შემდეგ, იყო პერიოდი როდესაც მოედანზე ცოტა დროს ვატარებდი, თუმცა წელს საქმეები კარგად მიდიოდა, სამწუხაროა რომ ასეთ დროს მივიღე ტრავმა და ერთი თვით ჩამოვშორდი მოედანს.

ახალგაზრდა თაობას რას ურჩევ?

მიზანდასახულობა, თავდაუზოგავი შრომა და იღბალი, რაც სპორტში ძალიან საჭიროა.

Rugby.ge

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge